# საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში

## დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

თბილისი 2022

# სარჩევი

შესავალი ..... 5

1. ახალ კორონავისურთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან ..... 7

1.1. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებისთვის ..... 7

1.2. ე.წ. სავალდებულო ვაქცინაცია ..... 9

1.3. პირბადის ტარების ვალდებულების გავლენა მცირეწლოვნებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ..... 10

2. ქალთა თანასწორუფლებიანობა ..... 12

2.1. სექსულური შევიწროება ..... 12

2.1.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება ..... 14

2.2. სპორტსმენი ქალების უფლებები ..... 15

2.3. ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება და კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა ..... 16

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობა ..... 19

3.1. შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან გამომდინარე პრობლემები ..... 19

3.2. მისაწვდომობის პრობლემა ორსული ქალების უფლებების კონტექსტში ..... 20

3.3. ბავშვის განათლების პროცესში გონივრული მისადაგება ..... 22

3. არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებები ..... 24

5. არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა ..... 27

5.1. წვდომა საჯარო სერვისებზე ..... 27

5.2. მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები ..... 34

5.3. დმანისის კონფლიქტი ..... 37

6. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა ..... 39

6.1. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში ..... 39

6.2. ლგბტ+ თემის მიერ ეკონომიკურ-სოციალური უფლებების რეალიზება ..... 45

7. უთანასწორობა სოციალური დაცვის სისტემაში ..... 46

7.1. დისკრიმინაცია საბანკო მომსახურებისას ..... 46

7.2 სოციალური დახმარებისა და საპენსიო გადანაწილების სისტემა ..... 48

8. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და საქმიანობის შესრულებისას ..... 49

8.1. პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში წინასაარჩევნო პერიოდში ..... 49

8.2. რისკის შემცველ საქმიანობაში გამოვლენილი დისკრიმინაცია ..... 51

8.3. შრომის ინსპექციის მანდატი სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით ..... 52

8.4. კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის საქმიანობის შეზღუდვა ..... 54

9. დისკრიმინაციის წახალისება ..... 56

9.1. სქესის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება ..... 56

9.2. ეთნიკური და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება ..... 59

9.3. სოგი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება ..... 60

10. გამოწვევები სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას ..... 62

11. თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა ..... 65

11.1. საქმისწარმოება ..... 66

11.2. საგანმანათლებლო საქმიანობა ..... 68

12. დასკვნა ..... 70

რეკომენდაციები ..... 70

# შესავალი

2021 წელს თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ მდგომარეობა კვლავ კრიტიკული იყო. სამწუხაროდ, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების თუ არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა არც ამ წელს გაუმჯობესებულა.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს თანასწორობის პოლიტიკის შექმნის თუ თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებების გავრცელების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესაბამის უწყებებს არც ამ საანგარიშო პერიოდში გაუზიარებიათ, გადაწყვეტილებების მიმღები პირები, დისკრიმინაციის წამახალისებელი კიდევ უფრო მწვავე გამონათქვამებით გამოირჩეოდნენ.

განსაკუთრებით საგანგაშო იყო „თბილისი პრაიდის" კვირეულის ფარგლებში განვითარებული მოვლენები, რომლის განმავლობაშიც, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები და სხვა წევრები საზოგადოებას ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდაჭერების მიმართ ძალადობისკენ პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებდნენ. 5 ივლისს, ღირსების მარშის დღეს, ამ ძალადობრივი ჯგუფების ფართომასშტაბიანი თავდასხმა ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებზე სამართალდამცავებმა ვერ აღკვეთეს, რის შედეგადაც არაერთი ადამიანი ფიზიკურად მძიმედ დაშავდა. ძალადობრივი ჯგუფების მიერ ღია აგრესიის გამოხატვის პარალელურად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ღირსების მარში" სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრაიდის უკან „რევანშისტული და რადიკალური" პოლიტიკური ძალები იდგნენ.[1] გარდა ამისა, პრემიერმა-მინისტრმა პირდაპირ მიუთითა, რომ „ღირსების მარშის" ჩატარებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა და აქცია არ უნდა ჩატარებულიყო რუსთაველის გამზირზე, რითიც სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიერ ორი პირის მიმართ შესაბამისი მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორისთვის დასაბუთებული პოზიციის[2] წარდგენის მიუხედავად, რომ საჯაროდ გავრცელებული მტკიცებულებები, სულ მცირე, ორი პირის მიმართ შესაბამისი ბრალის წარდგენის სტანდარტს აღწევდა, ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კონფლიქტური ვითარება შეიქმნა რეგიონებში სავარაუდოდ რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე. ჩოხატაურის რაიონის სოფელ

[1] **დამატებით იხ.** 5 ივლისს 11:00 საათზე, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება *„დღევანდელი აქციის ორგანიზატორების უკან დგანან ისევ რევანშისტული, რადიკალური ჯგუფები, კერძოდ, რადიკალური ოპოზიცია საკაშვილის მეთაურობით. ისინი არიან ჩართულები, აბსოლუტურად სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას, ისინი უკეთებენ ორგანიზებას აღნიშნულ მარშს და ამ აქციებს. რა თქმა უნდა, მათი მიზანია ქვეყანაში სამოქალაქო არეულობის და ქაოსის შემოტანა, რაც, რა თქმა უნდა, არ განხორციელდება და ამას ჩვენ არ დავუშვებთ. როგორც ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს სურს, ისე იქნება ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში"; „დღევანდელი აქცია სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს.* მოგეხსენებათ, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის აღნიშნული აქციის ჩატარება არის მიუღებელი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული აქცია არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე". https://cutt.ly/zTGKbeM; https://cutt.ly/3TGLdFw

[2] სახალხო დამცველის 2021 წლის 3 სექტემბრის წინადადებები საქართველოს პროკურატურას, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/d6pywf

ბუკნარში ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ რელიგიის საფუძველზე დაპირისპირებას ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის. ხოლო სავარაუდო ეთნიკურ ნიადაგზე განვითარდა კონფლიქტი დმანისში მცხოვრებ ქართულენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის. ამ ინციდენტებთან მიმართებით, სამართალდამცავი უწყების რეაგირება არ იყო ეფექტიანი - კონფლიქტში მონაწილე პირები ფიზიკურად უსწორდებოდნენ ერთმანეთს პოლიციის თანდასწრებით, რომელიც დროულ რეაგირებას და სიტუაციის განმუხტვას ვერ ახერხებდა.

ამასთანავე, უკიდურესად პრობლემური იყო წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივ თვითმმართველობებში, საჯარო სკოლებსა და ბაღებში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების შეზღუდვის ათეულობით შემთხვევა, სავარაუდო პოლიტიკური შეხედულების გამო. ეს უფლებადარღვევები, უმეტესად, დისკრიმინაციული მოტივით ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარში, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტაში, საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების წარდგენის მოთხოვნასა და სამსახურიდან გათავისუფლებაში გამოიხატებოდა. უთანასწორო მოპყრობის მიზეზად, განმცხადებლები, ძირითადად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან მათი ან მათი ოჯახის წევრის ნათესაურ, მეგობრულ თუ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ასახელებდნენ. მათ შორის, ნაწილი, სოციალურ ქსელებში პარტიის ლიდერის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების თუ კომენტარების განთავსებას/გაზიარებას/მოწონებას უკავშირებდა.

ჯამში, 2021 წელს, სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 161 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 17% სწორედ პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხებოდა. სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების ფაქტები წელსაც აქტუალური იყო და განცხადებების 16%-ს შეადგენდა. განსხვავებული მოსაზრება და შეზღუდული შესაძლებლობა საქმეების 11-11%-ში გვხვდებოდა. სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ნიშნით განმცხადებელთა 7% დავობდა. ეროვნება/მოქალაქეობის გამო - 6%, რელიგიის გამო - 4%, ეთნიკური წარმომავლობის გამო უთანასწორობის შემთხვევებს კი საქმეების 3% შეეხებოდა. ასაკის გამო უთანასწორობასთან დაკავშირებული განცხადებები წელს 3%-მდე შემცირდა. 2021 წელს წარმოებაში მითითებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი - 22% კვლავ სხვა ნიშნებით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა.

# 1. ახალ კორონავისურთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან

ახალი კორონავირუსის პანდემიამ, თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ, 2020 წელს წარმოჩენილი პრობლემების პარალელურად, 2021 წელს დამატებითი გამოწვევები გამოავლინა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც გამოჩნდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის პოლიტიკა არ იყო სრულად თავსებადი თანასწორობის უფლებასთან. უფრო კონკრეტულად, საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირების ნაწილს ქვეყანაში შემოსვლა ეზღუდებოდა, რაც საქართველოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა.

აღსანიშნავია, რომ მოწყვლად ჯგუფებს გამოწვევები შეექმნათ იმის ფონზე, რომ საზოგადოებას არასაკმარისი ინფორმაცია აქვს მათი საჭიროებების შესახებ. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეულ ჯგუფს, ასევე ბავშვებს, პირბადის ტარება არ შეუძლიათ, მათ, ზოგიერთ შემთხვევაში, პირბადის გაკეთებას გაუმართლებლად სთხოვდნენ.

საანგარიშო წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის ადამიანის უფლებებზე გავლენის საკითხი. საზოგადოების ნაწილში გაჩნდა კითხვები, დისკრიმინაციული იყო თუ არა ვაქცინაციის საბუთის წარმოდგენის ვალდებულება შრომით ურთიერთობებში, მომსახურების, ჯანდაცვის, განათლების თუ სხვა სფეროებით სარგებლობისას. საპასუხოდ საქართველოს სახალხო დამცველმა განმარტა, რომ ვაქცინირებული და არავაქცინირებული პირებისათვის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ღონისძიებების დაწესება, შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, დისკრიმინაციას არ წარმოადგენდა.

## 1.1. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებისთვის

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ახალი კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოში შემოსვლა შეზღუდული იყო. ხელისუფლების მიერ დადგენილი რეგულაციები მუდმივად იცვლებოდა, თუმცა, მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, ქვეყანაში შემოსვლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთა გარკვეულ კატეგორიას შეეძლო საზღვრის გადმოკვეთა, თუმცა, არა უშუალოდ მათი ბინადრობის სტატუსიდან გამომდინარე, არამედ ალტერნატიული საშუალებით[3]: თუკი იყვნენ საქართველოს მოქალაქის ოჯახის წევრები (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი); საქართველოში შემოსვლისთვის გათვალისწინებული სხვადასხვა რეჟიმის გამოყენებით;[4]

[3] ქვეყანაში შემოსვლის გზების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკითხის შესწავლის პერიოდისთვის (2021 წლის 23 ივლისი) მოქმედი წესების შესაბამისად.
[4] შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი იყო დაწესებული საქართველოში ოფიციალური ვიზიტით

თუკი საზღვარზე წარმოადგენდნენ ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის დამადასტურებელ დოკუმენტს; ასევე, მთავრობას განსაზღვრული ჰქონდა კონკრეტული ქვეყნების მცირე ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც შეეძლოთ საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო გზით შემოსვლა.

შესაბამისად, მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ, საქართველოს ტერიტორიაზე შემოდიოდა. არსებითია იმაზე მითითებაც, რომ სხვადასხვა რეჟიმის გამოყენებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შესაძლებლობები/გზები წლის განმავლობაში მატულობდა, შესაბამისად, მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთა მდგომარეობაც თანდათან უმჯობესდებოდა. მიუხედავად ამისა, საქმის შესწავლის ეტაპისთვის, საქართველოში შემოსვლის რეჟიმებისა და ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის უფლების მოპოვების წინაპირობების ურთიერთშეჯერებამ ცხადყო, რომ საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე პირთა ნაწილს (თეორიულად) არ ჰქონდა ქვეყანაში შემოსვლის უფლება. ამგვარი მიდგომის შედეგად, ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს ეზღუდებოდათ მიმოსვლის თავისუფლება, გარდა ამისა, ვერც იმ უფლებებით სარგებლობდნენ, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით არის გათვალისწინებული და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს არ მიემართებათ.

ამ მოცემულობაში, შესაფასებელი იყო, თუ რამდენად არღვევდა თანასწორობის უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე შეზღუდვები.[5] სახალხო დამცველის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ ჯგუფთან მიმართებით მოქმედი წესები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებასა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, რამდენადაც საქართველოსა და ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს შორის არსებობდა ხანგრძლივი და მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სხვა კავშირი, რაც იყო წინაპირობა, რომ თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე (ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის უფლების ქონა), მათ საქართველოში შემოსვლა შეძლებოდათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას ბინადრობის ფორმის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ შემდეგი რეკომენდაციით მიმართა[6] - საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთა ქვეყნაში შემოსვლის პოლიტიკა იმგვარად შეეცვალა, რომ ამ პირებს ბინადრობის ნებართვიდან/სტატუსიდან გამომდინარე ქვეყანაში შემოსვლის უფლებით დაუბ-

---

მყოფი დელეგაციების წევრთა, ასევე, საქართველოს სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციების წევრთა მიმართ; საქართველოში ბიზნეს/შრომითი საქმიანობის მიზნით ვიზიტორების მიმართ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დაგეგმილ საერთაშორისო სამხედრო სწავლებებსა და წვრთნებში მონაწილე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა/წარმომადგენელთა მიმართ; იმ უცხოელი ვიზიტორების მიმართ, რომლებიც საქართველოდან დისტანციურად ახორციელებენ სხვა ქვეყნებში ბიზნეს/შრომით საქმიანობას; უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მიმართ. იხ. საქართველოს მთავრობის 322-ე დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ", მე-11[1]-11[5] მუხლები.

[5] ამ საკითხის სხვა ჭრილით შეფასების საჭიროება დადგა 2020 წელსაც. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2020, 7-8, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IeAr8G

[6] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 23 ივლისის რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EG0TWR

რკოლებლად ესარგებლათ. საქართველოს სახალხო დამცველისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამ რეკომენდაციის შესრულების თაობაზე საბოლოო ღონისძიებები ჯერ არ არის მიღებული.

## 1.2. ე.წ. სავალდებულო ვაქცინაცია

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განსახილველი თემა იყო ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინირების სტატუსის გავლენა თანასწორობის უფლებაზე. კერძოდ, არღვევს თუ არა ადამიანის უფლებებს, დისკრიმინაციულია თუ არა პირისთვის ვაქცინაციის საბუთის/ტესტის უარყოფითი პასუხის წარმოდგენის დავალდებულება შრომით ურთიერთობებში, მომსახურების, ჯანდაცვის, განათლების თუ სხვა სფეროებში. საკითხის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ასევე აისახა საქართველოს სახალხო დამცველისადმი გაზრდილ მომართვიანობაში.

უახლესი საერთაშორისო გამოცდილებისა და ეროვნული კანონმდებლობის გაანალიზების შედეგად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, როგორიცაა - ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, განათლება, საჯარო სამსახური - კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საბუთის წარმოდგენის დავალდებულება არ წარმოადგენს დისკრიმინაციულ ან სხვა უფლებების შემლახავ პრაქტიკას.

უშუალოდ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის მისი ვაქცინირებულობის სტატუსზე ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კერძო კომპანიები ზრუნავდნენ დასაქმებული ადამიანებისთვის/მომხმარებლებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო [სამუშაო] გარემოს შექმნაზე. ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გარკვეული შემზღუდავი თუ წამახალისებელი ღონისძიებები ვაქცინირებული და არავაქცინირებული პირებისათვის, მათი სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, არ იქნება დისკრიმინაციული. შესაბამისად, დამსაქმებლებს, ასევე მომსახურების გამწევ პირებს, უფლება აქვთ დასაქმებულს ან მომხმარებლებს მოსთხოვონ სრული ვაქცინაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ტესტის უარყოფითი პასუხის სისტემატურად წარმოდგენა. აღნიშნული წესები უნდა ითვალისწინებდეს გამონაკლისებს (მაგალითად, სამედიცინო ცნობა ვაქცინაციის მიზანშეუწონლობის თაობაზე), ასევე, გონივრული მისადაგების ღონისძიებებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მიღებული წესების გადახედვა.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა განმარტა, რომ დისკრიმინაციულ პრაქტიკად არ არის აღიარებული რეგულაციები, რომლის თანახმად, განსაზღვრულ საჯარო ადგილებში შესვლა შესაძლებელია ვაქცინირებული ადამიანების, ხოლო არავაქცინირებული პირებისთვის - ტესტის უარყოფითი პასუხის ან/და ბოლო პერიოდში ინფექციის გადატანის თაობაზე დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სახალხო დამცველის შეფასებით და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ვაქცინაციის ჩატარების დავალდებუ-

ლება, მართალია, გამოიწვევს ინდივიდების უფლებებში ჩარევას, თუმცა ასეთი ჩარევა გამართლებულია მაშინ, როდესაც ის ემსახურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლეგიტიმურ მიზანს და ადამიანების სიცოცხლის დაცვას. შექმნილი ვითარების ფონზე, ვაქცინაცია უნდა განიმარტოს არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური უფლება, არამედ როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობის სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი კოლექტიური პასუხისმგებლობა.

როგორც აღინიშნა, ამ საკითხების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი განცხადება მიიღო წარმოებაში, თუმცა ვაქცინაციის სტატუსის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი არცერთ შემთხვევაში არ დადგენილა. მომართვიანობის მაღალი მაჩვენებლიდან და ზოგადად, საზოგადოებრივ მსჯელობაში საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის 25 აგვისტოს შესაბამისი საჯარო განმარტება გააკეთა[7], ასევე, სახალხო დამცველმა აპარატში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, 2021 წლის 26 აგვისტოს მიიღო შესაბამისი წესი.[8]

## 1.3. პირბადის ტარების ვალდებულების გავლენა მცირეწლოვნებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა საქმეები, რომლებმაც ცხადყო, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად შემოღებულმა პირბადის ტარების წესმა, პრაქტიკაში, მოწყვლად ჯგუფებს რიგი გამოწვევები შეუქმნა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო განცხადება, რომლის მიხედვით, ერთ-ერთი ორგანიზაციის ზოგადმა წესმა დისკრიმინაციული ეფექტი იქონია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვსა და მის თანმხლებ პირზე. კერძოდ, სერვისის მიმწოდებელ კერძო კომპანიაში მოქმედებდა წესი, რომ მათ შიდა სივრცეში გადაადგილებისას ყველა მომხმარებელს პირბადე უნდა ეტარებინა. ერთ-ერთი მომხმარებელი სამი წლის აუტისტური სპექტრის მქონე შვილთან ერთად გზავნილის მისაღებად მივიდა ამ კომპანიის ფილიალში. მშობელმა განმარტა, რომ ბავშვს აქვს აუტისტური სპექტრი და პირბადეს არ გაიკეთებდა. ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, განმცხადებლის შვილი არ შეუშვეს ფილიალში. ორგანიზაციამ სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის ეტაპზე დისკრიმინაციული წესი შეცვალა და შესაბამისი პირებისთვის კომპანიის შიდა სივრცეში გადაადგილება პირბადის არქონის შემთხვევაშიც დაუშვა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს კანონმდებლობას შეესაბამებოდა.[9]

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა განცხადება, რომლის მიხედვით, პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაჯარიმდა ფსიქიკური შეზღუდ-

[7] განცხადება „ვაქცინირებული და არავაქცინირებული პირებისათვის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ღონისძიებების დაწესება დისკრიმინაციას არ წარმოადგენს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31r1mxb
[8] განცხადება „სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს სამსახურში კოვიდ საბუთის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/326XK45
[9] საქართველოს მთავრობის 368-ე დადგენილება „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“.

ვის მქონე პირი, რომელსაც, ამ გარემოებიდან გამომდინარე, არ შეეძლო პირბადის ტარება. როგორც სახალხო დამცველისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით გახდა ცნობილი, ამ პირის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი გაუქმდა.

ამგვარად, ამ შემთხვევებმა გამოკვეთა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა. თავის მხრივ, კერძო კომპანიების ინიციატივები, რომლებიც დასაქმების ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას ემსახურება, მნიშვნელოვანია, თუმცა, არსებითია, რომ იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით იგეგმებოდეს და ხორციელდებოდეს.

# 2. ქალთა თანასწორუფლებიანობა

ქალთა თანასწორუფლებიანობის მდგომარეობის მხრივ, სექსუალური შევიწროების ფაქტები, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევები, წელსაც გამოწვევა იყო. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი კანონმდებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა გაზრდილია, რაც სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ქალების მხრიდან მომართვიანობაზე აისახება.

ამას გარდა, წელს სახალხო დამცველს პირველად მომართეს პროფესიონალმა ფეხბურთელმა ქალებმა, რამაც მათი უფლებრივი მდგომარეობის თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობაზე მსჯელობა შესაძლებელი გახადა.

ამასთანავე, 2020 წელს შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანასწორობის უფლებაზე გავლენის შესამოწმებლად, ამ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა კაცების მიერ ე.წ. დეკრეტული შვებულებით სარგებლობის საკითხი გააანალიზა.

## 2.1. სექსულური შევიწროება

სახალხო დამცველი მიმდინარე საანგარიშო წელსაც აქტიურად განაგრძობდა სექსუალური შევიწროების ფაქტების შესწავლასა და მისი თავიდან აცილების მიმართულებით მუშაობას. 2019 წელს კანონმდებლობაში შეტანილმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომლითაც განისაზღვრა სექსუალური შევიწროების ქცევის განჭვრეტადი ელემენტები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, სავარაუდო მსხვერპლისთვის მეტად დაცული სივრცე შექმნა. საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის პოზიტიურმა პრაქტიკამ გაზარდა ინსტიტუტის მიმართ ნდობა, რამაც გაზარდა მომართვიანობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის". ელექტრონული კურსის შექმნის მიზანია, აამაღლოს ცნობიერება საჯარო სივრცეში და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საკითხებზე. იგი ასევე იძლევა შესაძლებლობას, დაინტერესებული პირები გაეცნენ ადამიანის უფლებების სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება მსოფლიოში სექსუალური შევიწროების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული კურსი განთავსებულია სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია.[10]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები, მათ შორის, შეეხებოდა შრომით ურთიერთობაში და სოციალურ ქსელში მიმოწერისას გამოვლენილი სექსუალური შევიწროების ფაქტებს.[11] შემავიწროებლის ქცევა გამოიხატებოდა ვერბალური და ფიზიკური სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაში

[10] ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dkc0se
[11] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 თებერვლის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lBaiYb

- პირადი ხასიათის კითხვების დასმაში, ტელეფონის ნომრის თხოვნაში, სექსუალური შინაარსის შეურაცხმყოფელი შეტყობინების გაგზავნაში, სხვა თანამშრომელთან განმცხადებლის ცხოვრების სექსუალურ ჭრილში შეფასებაში, იძულებითი კოცნის მცდელობაში, სქესობრივი კავშირის შეთავაზებაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ საქმეებში, სახალხო დამცველმა შეაფასა არა მხოლოდ შემავიწროებლის ქცევა, არამედ დამსაქმებლის რეაგირებაც, სამუშაო ადგილზე მომხდარი სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით.

სექსუალური შევიწროების განსაკუთრებით სენსიტიური ბუნებისა და სავარაუდო მსხვერპლზე თუ სამუშაო გარემოზე მისი არსებითად უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, ბოლო პერიოდში, სულ უფრო მეტი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია გაწერს სექსუალური შევიწროების აკრძალვასთან და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს. აღნიშნული მექანიზმი, ერთი მხრივ, არის დამსაქმებლის განაცხადი პოტენციური შემავიწროებლის მიმართ, რომ სექსუალური შევიწროება არ იქნება შეწყნარებული, მეორე მხრივ კი, სავარაუდო მსხვერპლს, დასაქმებულს, სთავაზობს ეფექტიან და სანდო პროცედურას. სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმის დანერგვა ცალსახად პოზიტიური ქმედებაა, თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში მისი ეფექტიანად აღსრულება. მაგალითად, როგორც საჯარო სამსახურში თანამშრომლის მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას გამოიკვეთა, უწყების მხრიდან, ფაქტთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად საკმარისი ღონისძიებები არ გატარებულა. შესაბამისად, შიდა რეგულაციების არსებობის მიუხედავად, განმცხადებლის მიმართ ჩადენილ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს ეფექტიანი რეაგირება არ მოჰყოლია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველთან სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა პირველად გადმოამისამართა ერთ-ერთი კერძო კომპანიის დასაქმებულის მხრიდან სხვა თანამშრომლის მიმართ ჩადენილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი. საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიამ ვერ უზრუნველყო დასაქმებულის უფლებების ეფექტიანი დაცვა. სახალხო დამცველმა, ერთი მხრივ, შემავიწროებელს მოუწოდა რეკომენდაციით, მომავალში, სამუშაო ადგილზე თუ სხვა სფეროში, არ მიმართოს სექსუალურ შევიწროებას და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო, ხოლო მეორე მხრივ, კომპანიას მოსთხოვა, მომავალში ეფექტიანად შეისწავლოს სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევები და გადადგას პროაქტიული ნაბიჯები, მათ შორის, სექსუალური შევიწროების შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით.[12]

აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების მხრივ, ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან ქორწინებაში არმყოფი ქალები (დაუქორწინებელი, განქორწინებული, დაშორებული, ქვრივი) და მარტოხელა დედები. ეს, როგორც წესი, განპირობებულია შემავიწროებლის აღქმით, რომ კონკრეტული სექსუალური კონოტაციის ქცევა უფრო მისაღები იქნება ქორწინებაში არმყოფი ქალისათვის, ვიდრე ქალისათვის, რომელსაც

[12] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბერის რეკომენდაცია გ. კ.-ს და შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sXoqzw

მეუღლე ჰყავს. სწორედ ასეთი შემთხვევა გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, რომელზეც სახალხო დამცველმა სოციალურ ქსელში მიმოწერისას სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა.[13] განმცხადებელი არის მარტოხელა დედა, რომელსაც ალიმენტის საქმეზე ადვოკატის ძიების პროცესში, სოციალურ ქსელში მამაკაცი დაუკავშირდა. კომუნიკაციისას, მოპასუხე განმცხადებელს უსვამდა პირადი ხასიათის კითხვებს, კომენტარებს აკეთებდა ქალის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით და საკუთარი გავლენის დასადასტურებლად, მის სანაცნობო წრესა და მაღალ შემოსავალზე მიუთითებდა. როდესაც განმცხადებელმა უკმაყოფილება გამოხატა მოპასუხის ქცევის მიმართ, მან სწორედ მის ოჯახურ მდგომარეობაზე გააკეთა აქცენტი და ქალის ოჯახური სტატუსი უარყოფით და შეურაცხმყოფელ კონტექსტში წარმოაჩინა.

### *2.1.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება*

2019 წელს სექსუალური შევიწროების კუთხით კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით, კანონმდებელმა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი სექსუალური შევიწროება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოიაზრა, რის შედეგადაც საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, სამართლებრივი დაცვის ახალი მექანიზმი გაუჩნდა. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს წარმოეშვათ პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები პრაქტიკაში ეფექტიანად აღასრულონ.

საანგარიშო პერიოდში განხილულ ერთ-ერთ საქმეში პრობლემური იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან საჯარო სივრცეში ჩადენილ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე სამინისტროს რეაგირება. საქმე, 2021 წლის 14 აპრილს ადმინისტრაციული წესით დაკავებული ქალის მიმართ, სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს ეხებოდა.[14] შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირების ეფექტიანობის შესაფასებლად, სახალხო დამცველმა რამდენჯერმე გამოითხოვა ინფორმაცია უწყებიდან. სახალხო დამცველს ყოველ ჯერზე პასუხობდნენ, რომ სამსახურებრივი შემოწმება კვლავ მიმდინარეობდა და მითითებულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. სახალხო დამცველს სამინისტროდან მხოლოდ 2021 წლის 30 დეკემბერს ეცნობა, რომ მითითებულ ძალადობრივ ფაქტზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

---

[13] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 თებერვლის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lBaiYb

[14] 2021 წლის 14 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის უკანა მხარეს მდებარე პარკინგზე პატრულ ინსპექტორმა ქალს ხელბორკილების გაკეთების მიზნით ხელები გადაუგრიხა. შედეგად, ქალმა განიცადა ძლიერი ტკივილი და პატრულ ინსპექტორს სთხოვა, მოეხსნა მისთვის ხელბორკილები. პატრულ ინსპექტორმა მას უპასუხა - „შენ დასჯილი ხარ და მოდი ახლა მოგეფერები, თუ გტკივა ხელები", რის შემდეგაც ორივე ხელი წაიღო ქალის სახისკენ და სახესთან ძალიან ახლოს მიუტანა.

აღსანიშნავია, რომ სათანადო რეაგირების არარსებობა უწყების მიმართ მოქალაქეთა ნდობაზე უარყოფითად აისახება. გამოძიების ეფექტიანობასა და ნდობას კიდევ უფრო ამცირებს გაჭიანურებული შესწავლის პროცესები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უწყებამ მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოს თითოეული სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის გარემოებების გამოსაკვლევად და სამართალდამრღვევი პირის მიმართ სათანადო ღონისძიებების გასატარებლად.

## 2.2. სპორტსმენი ქალების უფლებები

საქართველოში ქალი სპორტსმენების, მათ შორის, ფეხბურთელების წინაშე არსებული გამოწვევები მრავალმხრივია, რაც, რიგ შემთხვევაში, გენდერული სტერეოტიპებიდან, ზოგიერთ ვითარებაში კი, ქალთა ფეხბურთის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ქალ ფეხბურთელებს მუდმივად უწევთ მტკიცება, რომ ფეხბურთი მხოლოდ კაცების სპორტი არ არის.[15] უშუალოდ სპორტული კონტექსტით განპირობებული სტერეოტიპების გარდა, ქალ ფეხბურთელებს იმ ზოგად მცდარ მოსაზრებასთან ბრძოლაც სჭირდებათ, რომელიც ქალებისთვის პრიორიტეტულად/მხოლოდ ოჯახში მზრუნველის როლს განსაზღვრავს.

ამ გამოწვევებზე საპასუხოდ წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ „ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სტრატეგია 2021-2024"-ის შემუშავება. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ 2020 წლიდან ლიცენზირებად ლიგებს დაემატა ქალთა ლიგაც, რაც ნიშნავს, რომ ქალთა კლუბებისთვის, კაცთა კლუბების მსგავსად, 2021 წლის ჩემპიონატისთვის სავალდებულო გახდა სამედიცინო პერსონალის ყოლა.[16] მიუხედავად ამისა, ეს ღონისძიებები საკმარისი არ არის ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის დაცვის უფლების სრულად დასაცავად.

2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა ქალი ფეხბურთელების წინაშე არსებული გამოწვევების ნაწილი შეაფასა. ქალი ფეხბურთელების უფლებრივი მდგომარეობის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებული წესები ვერ უზრუნველყოფდა ქალ ფეხბურთელთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, ასევე, დედობის უფლების სათანადოდ დაცვას, რაც ეწინააღმდეგება ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და ადგილობრივ ექიმებთან გასაუბრების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია ორ ძირითად მიმართულებას ფარავს. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, არსებითია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ლიცენზირებას დაქვემდებარებული გუნდების ექიმებისთვის დაგეგმილ სავალდებულო ტრენინგებში გაითვალისწინოს ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯან-

[15] ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია შეიქმნა | რა მოლოდინები აქვთ ფეხბურთელებს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3diEkeG; „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი, 68, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/332uqfi
[16] კლუბების ლიცენზირების დებულებები 2021, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 32-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pnBAIM

მრთელობის საკითხები; ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტიდან გამომდინარე, მიიღოს სახელმძღვანელო დოკუმენტი (სტანდარტები) ქალი ფეხბურთელების ორსულობისა და შემდგომი პერიოდისთვის ფიზიკური დატვირთვის თაობაზე. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, ქალი ფეხბურთელების შრომის უფლების რეალიზების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესები. რეგულაციები ეხება ქალი ფეხბურთელების ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის პერიოდში უფლებების დაცვას და მათი დარღვევისთვის სპორტული სანქციების გამოყენებას.[17]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების მზაობა გამოხატა. ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, ასევე, დედობის უფლების დაცვის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობას.

## 2.3. ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება და კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა

საქართველოს სახალხო დამცველმა თანასწორობის მდგომარეობის შესახებ წინა წლის ანგარიშში ყურადღება გაამახვილა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების, ასევე, ბავშვის მოვლის გამო შვებულების მარეგულირებელ ნორმებში პოზიტიურ ცვლილებებსა და ჯერ კიდევ დაუძლეველ პრობლემებზე.[18] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ ნარჩუნდება ისეთი არსებითი გამოწვევა, როგორიცაა, ამგვარი შვებულებისთვის არასაკმარისი ანაზღაურება იმ დასაქმებულებისთვის, რომლებზეც „საქართველოს შრომის კოდექსის" მოქმედება ვრცელდება. გარდა ამისა, უთანასწორობის პრობლემას ამძაფრებს, ერთი მხრივ, ორგანული კანონით, „საქართველოს შრომის კოდექსი", და მეორე მხრივ, საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ", ანაზღაურების განსხვავებული სტანდარტები. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებისთვის ერთიანი ანაზღაურების სტანდარტი დაადგინოს, ხოლო ანაზღაურების ოდენობა როგორც ბავშვს, ისე დედას ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის შესაძლებლობას აძლევდეს.[19] ანაზღაურების ოდენობისა და დედობის დაცვის უფლების რეალიზებისთვის, მიზანშეწონილია, საქართველოს სახელმწიფომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დედობის დაცვის 183-ე კონვენციას რატიფიცირება გაუკეთოს.[20]

[17] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბერის რეკომენდაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HAmXmI

[18] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2020, 15-18, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IeAr8G

[19] თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკითხები არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებისა და შესაბამისი დღის წესრიგების ნაწილები, ხოლო „საქართველოს შრომის კოდექსში" ბოლოდროინდელი ცვლილებები ამ ვალდებულებების შესაბამისია.

[20] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციის მიხედვით, ანაზღაურებასთან დაკავშირებით ოთხი სტანდარტი მოქმედებს: პირველი სტანდარტის მიხედვით, ანაზღაურება უნდა განისაზღვროს დედის წინა შემოსავლის მინიმუმ ორი მესამედით; მეორე სტანდარტის შესაბამისად,

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღება, თანამედროვე, გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი გაგებით, არის ორივე მშობლის უფლება და მოვალეობა. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობა, ზოგადად, და ქალის ეკონომიკური გაძლიერება, წარმოუდგენელია მხოლოდ მის მიმართ არსებული სტერეოტიპების მსხვრევის ხარჯზე, აუცილებელია კაცების მიმართ არსებული მცდარი წარმოდგენის გადახედვაც, ოჯახში მათთვის მხოლოდ ეკონომიკური როლის თაობაზე. ამ მიდგომას, გარკვეულწილად, საქართველოს კანონმდებლობაც იზიარებს.

როგორც ცნობილია, 2021 წელს ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს შრომის კოდექსით" გათვალისწინებული ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც, ორივე მშობელს მიეცა ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებადი ნაწილით სარგებლობის შესაძლებლობა,[21] ბავშვის მამას ასევე მიეცა უფლება, რომ ისარგებლოს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების იმ დღეებით, რომლებიც ბავშვის დედას არ გამოუყენებია.[22] საქართველოს სახალხო დამცველისთვის მნიშვნელოვანი იყო შეესწავლა, თუ რა შედეგი გამოიღო ამ ცვლილებებმა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სახელმწიფო გასაცემლების ერთიანი საალრიცხვო ბაზის თანახმად, 2021 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებადი ნაწილით სულ 381 დასაქმებულმა ისარგებლა, მათ შორის 333 ქალმა და 48 მამაკაცმა. ამ 48 მამაკაციდან ბავშვის მოვლის გამო შვებულებით 46 შემთხვევაში ისარგებლეს 57 დღის ოდენობით (ერთ შემთხვევაში 30 დღით და ერთ შემთხვევაში 19 დღით) და მათთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა (გარდა 7 შემთხვევისა) შეადგენდა 1000 ლარს, სულ, ჯამში 48 კაცზე გაიცა 45310 ლარი.[23] რაც შეეხება დედის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გამოუყენებელი დღეებით მამის მიერ სარგებლობის ფაქტებს: 3 შემთხვევაში ისარგებლა (ორ შემთხვევაში 126 დღის და ერთ შემთხვევაში - 115 დღის ოდენობით) მამამ და მათთვის თითოეულზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობამ 1000 ლარი შეადგინა.[24] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია მიიღო რამდენიმე კერძო კომპანიისგან, რომელთა პასუხების მიხედვით, მიმდინარე წელს არცერთ კაცს არ უსარგებლია ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის ცვლილებების გათვალისწინებით, მათ წესდებაში ცალკე ჩამოყალიბდა მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება.

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში, არსებითია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, ბავშვის მოვლის გამო შვებულების საკითხებზე,

ანაზღაურება უნდა შეადგენდეს საშუალო ხელფასის სულ მცირე ორ მესამედს; მესამე სტანდარტის თანახმად, დედობის გამო შვებულებისთვის გათვალისწინებული ანაზღაურება უნდა იყოს დასაქმებულის შრომისუუნარობის პერიოდისთვის გათვალისწინებული ანაზღაურების ეკვივალენტური; ხოლო მეოთხეს მიხედვით, თუკი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ზემოაღნიშნული სტანდარტის დაცვის საშუალებას არ იძლება, მაშინ დადგენილი ანაზღაურება მუდმივად უნდა იზრდებოდეს და ამ შემთხვევაში სახელმწიფომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შესაბამისი განმარტებებიც უნდა წარუდგინოს

[21] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი", 37-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტები, ასევე 39-ე მუხლი

[22] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი", 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე 39-ე მუხლი

[23] სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის № 04/11476 წერილი

[24] სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის № 04/11476 წერილი

სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო თუ რეგიონულ დონეზე მოქმედ სტანდარტებზე დაფუძნებული მეტი ცვლილება შევიდეს. მაგალითად, ევროკავშირის 2019/1158 დირექტივა თითოეული მშობლისთვის ცალ-ცალკე ითვალისწინებს მინიმუმ 4-თვიან საშვებულებო ვადას, საიდანაც სულ მცირე ორ თვეს ექსკლუზიურად ერთი მშობელი იყენებს, ხოლო ორი თვე შესაძლებელია მეორე მშობელს გადაეცეს.[25] თითოეული მშობლის ორთვიანი ექსკლუზიური შვებულება სათანადოდ უნდა იყოს ანაზღაურებული, რათა მშობელს მისი გამოყენების დამატებითი მოტივაცია ჰქონდეს.[26] მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს ამავე დირექტივით განახლებული სტანდარტი მამობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით.[27] დოკუმენტით დადგინდა მამობის გამო შვებულება[28], რომლის აღებაც მშობელს შეუძლია ბავშვის დაბადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მამობის გამო შვებულება ანაზღაურებადია მინიმუმ შრომისუუნარობისთვის დადგენილი ეროვნული ტარიფის მიხედვით. წევრმა სახელმწიფოებმა 2022 წლის 2 აგვისტომდე უნდა აამოქმედონ კანონი, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც ამ დირექტივის მოთხოვნებს შეესაბამება.

ამგვარად, არსებითია, რომ გენდერულად სტერეოტიპული ხედვები არ იყოს ასახული კანონმდებლობაში და იგი იზიარებდეს საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, რომელიც ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღების საკითხში აქტიურ მონაწილედ განიხილავს არა მხოლოდ დედას, არამედ ორივე მშობელს. ამ ტიპის ცვლილებები გაუმჯობესებს ქალების უფლებრივ მდგომარეობას, გარდა ამისა, ამგვარი მიდგომა დადებითად აისახება ბავშვის ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებაზეც.

[25] Directive (EU) 2019/1158 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on work-life balance for parents and carers and repealing Council Directive 2010/18/EU, Art. 5.
[26] Directive (EU) 2019/1158 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on work-life balance for parents and carers and repealing Council Directive 2010/18/EU, Art. 8 (3).
[27] საქართველოს სახალხო დამცველი იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს დედობის გამო შვებულებას, მამობის გამო შვებულებას და მშობლობის გამო შვებულებას. დედობის გამო შვებულებაში გულისხმობენ [საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ] ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებას, მამობის გამო შვებულებაში ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდს [შვებულების ამ ფორმას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს], ხოლო მშობლობის გამო შვებულება ორივე მშობელს მიემართება და ფარავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვის მოვლის გამო შვებულების ცნებას.
[28] ორიგ. paternity leave.

# 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობა

სახალხო დამცველი არაერთი წელია აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი, რომელიც, შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა სტატუსის მქონე პირებს, პრაქტიკაში, აბრკოლებს მათი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი სარგებლის მიღებაში. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში იჩენს თავს.

კვლავ გამოწვევაა ფიზიკური თუ სხვა სახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის დამოუკიდებლად ცხოვრებაში. 2021 წელს ეს საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების უფლებების კონტექსტში გამოვლინდა. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, მათ დაბრკოლებები ექმნებათ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღებისას. კერძოდ, გამოიკვეთა როგორც ფიზიკური ადაპტირების პრობლემები ანტენატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, ისე - ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კუთხით არსებული გამოწვევები.

კვლავ გამოწვევად რჩება საგანმანათლებლო გარემოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებებზე ადაპტირების საკითხი, რაც, წელს, პრობლემად არაფორმალური განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა.

## 3.1. შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან გამომდინარე პრობლემები

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოში მოქმედ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის სამედიცინო მოდელთან. სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელის სრულად დანერგვის აუცილებლობაზე.[29] ეს მოდელი გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა და მათთვის სოციალური ბენეფიტის (მატერიალური ან არამატერიალური სახის) მინიჭება არა მხოლოდ სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგენილ დიაგნოზს, არამედ კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჭიროებების და გარემო ფაქტორების ინდივიდუალურად შეფასებას უნდა დაეფუძნოს.

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების ხარვეზიანი მოდელი პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში, ხოლო ამ მიმართულებით მოწყვლადი ჯგუფების მხარდა-

[29] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარალამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 33; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 663-78.

ჭერა არსებითია. 2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოავლინა დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში არ უნაზღაურდება ხარჯები იმ სამედიცინო მომსახურებისთვის (ორთოპედიული ენდოპროთეზირება), რომელსაც სახელმწიფო ზოგიერთ ჯგუფს უფინანსებს. კერძოდ, მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის 36-ე დადგენილების საფუძველზე, ორთოპედიული ენდოპროთეზირება მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფინანსდებათ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მართალია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეფასების სამედიცინო მოდელის პირობებში, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებულად დაუცველი ჯგუფია, მიუხედავად ამისა, შეფასების სამედიცინო მოდელის სოციალური მოდელით ჩანაცვლებამდე, აუცილებელია, ჯანდაცვის პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლეოდეს. დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის შემდეგ, სახალხო დამცველმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა.[30]

გარდა ამისა, მიმდინარე წელს ერთ-ერთ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველმა იმსჯელა განცხადებაზე, რომელიც მიუთითებდა, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის მხრივ პრობლემებს აწყდებიან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები, რამდენადაც შესაბამის ნორმატიულ აქტებში ნოზოლოგიათა ჩამონათვალში არ არის დაუნის სინდრომი. განცხადების მიხედვით, მსგავს ლოგიკას ექვემდებარებიან აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებიც. საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეში განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპისთვის მთავარი პრობლემაა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემა, რომელიც პირისათვის დადგენილ სამედიცინო დიაგნოზს ეყრდნობა. შესაბამისად, მიზანია მისი სოციალური მოდელით ჩანაცვლება, რომელსაც სათანადო ადმინისტრირების პირობებში აქვს რესურსი, რომ დააკმაყოფილოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და უზრუნველყოს მათი ინტეგრირება საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა, დისკრიმინაციულად არ მიიჩნია შესაბამის ბრძანებაში ნოზოლოგიათა ჩამონათვალში დაუნის სინდრომისა ან/და აუტისტური სპექტრის მიუთითებლობა. გარდა ამისა, ამ დიაგნოზებიდან გამომდინარე, მოქმედი მოდელის პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის მინიჭება არაა გამორიცხული, ასევე არსებობს რიგი მიზნობრივი პროგრამები, რომლებში ჩართვაც არ არის დამოკიდებული შშმ ბავშვის სტატუსის მინიჭებაზე.

## 3.2. მისაწვდომობის პრობლემა ორსული ქალების უფლებების კონტექსტში

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს მისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფის კუთხით უწყვეტად მუშაობის მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი უფლებების

[30] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GdsfUs

სხვებთან თანასწორად რეალიზებაზე.[31] საანგარიშო პერიოდში მისაწვდომობის პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა რეპროდუქციული უფლებებით სარგებლობის სფეროში.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი განსაკუთრებულად გამოყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციისგან დაცვის ვალდებულებას და მოითხოვს ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებას.[32] კანონი პირდაპირ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთათვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის უფლების მისაწვდომობას სხვა ქალებთან თანასწორად.[33] ამ მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მათ შორის, ფიზიკურ გარემოზე, შენობა-ნაგებობებზე, ინფორმაციაზე, სამედიცინო დაწესებულებსა და სხვა მომსახურებაზე წვდომა.[34]

2021 წელს სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსულ ქალებს დაბრკოლებები ექმნებათ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღების პროცესში. კერძოდ, გამოიკვეთა როგორც ფიზიკური ადაპტირების პრობლემები ანტენატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, ისე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კუთხით არსებული გამოწვევები.[35]

2020 წლიდან ანტენატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში დაიწყო შეფასების პროცესი, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დასრულებულიყო. ხოლო, 2022 წლის 1 იანვრიდან მომსახურების მიმწოდებლები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ის დაწესებულებები, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებდნენ შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მოთხოვნას. თუმცა, 2021 წლის მაისში შესაბამის ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც, პროცესი 1 წლით გადავადდა.[36] შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრამდე, ორსულობასთან დაკავშირებული სერვისები კვლავ მიეწოდება, მათ შორის, ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჭირო გარემო პირობებს. ეს კი, ზეგავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების შესაძლებლობაზე, არსებითი წინაღობების გარეშე მიიღონ

[31] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2018 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 11-12; დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 15-18; დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 21-22.
[32] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 4.
[33] იქვე, მუხ. 6, პუნ. 3.
[34] იქვე, მუხ. 4, პუნ. 5 („ვ").
[35] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის ზოგადი წინადადებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/reyz1g; https://rb.gy/arozlw
[36] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 14 მაისის N01-46/ნ ბრძანება „ანტენატალური და პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის" სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული უფასო მომსახურება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების კონტექსტში მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს ის გარემოებაც, რომ სამედიცინო დაწესებულებებს უშუალოდ არ განესაზღვრებათ სამედიცინო დოკუმენტაციის უსინათლო პირთათვის აღქმადი ფორმით გაცემის ვალდებულება, რის შედეგადაც, პაციენტი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გაეცნოს საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც მას მესამე პირებზე დამოკიდებულს ხდის და აიძულებს, გაამჟღავნოს თავისი პერსონალური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ორსულობა ქალის უნიკალური მდგომარეობაა და თავისთავად მოითხოვს მის საჭიროებებზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფას. ამდენად, შესაბამისი საჭიროებების გაუთვალისწინებლობის პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალები კიდევ უფრო მწვავე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რაც უშუალოდ ამ ორი ნიშნის მატარებელი პირების უფლებების დაცვისაკენ მიმართული ზომების მიღებას საჭიროებს. ხსენებულს ადასტურებს სახალხო დამცველის მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ ჩატარებული კვლევა, რომელმაც სწორედ მხედველობის არმქონე და ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვის მქონე ქალები გამოავლინა ერთ-ერთ იმ ჯგუფად, რომლებიც ანტენატალური სერვისების მიღებისას სპეციფიკურ ბარიერებს აწყდებიან.[37]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, დაჩქარდეს, ერთი მხრივ, ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების შეფასების პროცესი და, მეორე მხრივ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შემცველი სამედიცინო დოკუმენტაციის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დაინერგოს დამხმარე საშუალებები. ამასთანავე, სისტემურად უნდა გაანალიზდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის კუთხით და უნდა დაინერგოს შესაბამისი ღონისძიებები ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

## 3.3. ბავშვის განათლების პროცესში გონივრული მისადაგება

გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა არსებითი კომპონენტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწოროუფლებიანობის დასაცავად, რამდენადაც ეს პრინციპი არა რომელიმე ჯგუფის, არამედ კონკრეტული ინდივიდის ინტერესების მხედველობაში მიღებას მოითხოვს. მიმდინარე საანგარიშო წლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების უფლებით სხვებთან თანასწორად სარგებლობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

გასულ წელს საგანმანათლებლო სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის, კერძოდ, გონივრულ მისადაგებაზე უარის ფაქტები გამოვლინდა

[37] „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება", საქართველოს
სახალხო დამცველი, 2019, გვ. 13, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/694oaj

როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე[38], ისე უმაღლესი განათლების მისაღებ ეტაპზე.[39] მიმდინარე წელს პრობლემური იყო არაფორმალური განათლების უზრუნ-ველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.[40]

სახალხო დამცველმა შეისწავლა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის საგანმა-ნათლებლო და შემოქმედებითი დაწესებულების მხრიდან მომსახურების მიწოდე-ბაზე უარის თქმის საკითხი. დაწესებულებას, მომსახურებაზე უარის თქმისას, არ გა-ნუხილავს გონივრული მისადაგების პრინციპიდან გამომდინარე შესაფერისი ალტერ-ნატივებისა და სასწავლო პროცესის მოდიფიკაციის შესაძლებლობა, რაც, შესაძლოა, ყოფილიყო - გარემოსთან ადაპტირების პროცესში მშობლის დახმარება (მშობელს მისცემოდა შესაძლებლობა მცირე ხნით, დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს და ბავშვს სხვადასხვა აქტივობებში ჩართვაში დახმარებოდა), ასევე, ბავშვის ფსიქოლოგთან კონსულტაციის გავლა.

აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლება ხელს უწყობს მოზარდთა წიგნიე-რებას, ისევე როგორც საყოფაცხოვრებო უნარების გამომუშავებასა და სოციალურ თუ კულტურულ განვითარებას. მსგავსი პროგრამები ხშირად ავსებს ფორმალური განათ-ლების სექტორში არსებულ ხარვეზებს. ამასთანავე, არაფორმალურ განათლებას გან-საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური განათლების კონტექსტში, ვინა-იდან მისი მოქნილი და კონკრეტულ კონტექსტზე ორიენტირებული პირობებიდან გა-მომდინარე, უკეთ შეუძლია უპასუხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. შესაბამისად, დაწესებულებები, რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას, უზრუნველყონ მოზარდებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცეების შექმნა, ვალდებულნი არიან, სწორად ამოიცნონ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მოთხოვნილება და შეთავაზებული მომსახურება მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს მაქსიმალურად მიუსადაგონ.

[38] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის რეკომენდაცია შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის" დირექტორს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oova6A
[39] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 7 დეკემბრის მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oph7xF
[40] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბერის რეკომენდაცია შპს „არტ-თაიმ სტუ-დიას", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eM6fo7

# 4. არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებები

წინა წლის მსგავსად,[41] რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ პრობლემებს არც 2021 წელს დაუკარგავს აქტუალობა. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული გამოწვევა სახალხო დამცველის აპარატის წინაშე არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულებთან მიმართებით დაისვა. კერძოდ, კითხვები წარმოიშვა პენიტენციურ დაწესებულებებში სალოცავი სივრცეების არარსებობისა და რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ნებადართული საკვები პროდუქტების თაობაზე არასათანადო ინფორმირების საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც საერთაშორისო,[42] ისე ეროვნული[43] ნორმატიული სტანდარტები ადგენს გარანტიებს, რათა მსჯავრდებულებმა, შეძლებისდაგვარად, სრულად შეძლონ თავიანთი რელიგიისა თუ რწმენის გამოხატვის უფლების რეალიზება თავისუფლების აღკვეთის პირობებშიც, რაც მოიცავს, როგორც რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას და მასთან განუყოფლად დაკავშირებულ პრაქტიკებს (მათ შორის, სალოცავ სივრცეებს), ისე დღესასწაულების აღნიშვნას და შესაბამისი კვების რაციონის დაცვას.[44] თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მათი აღსრულება პრობლემურია. წლების განმავლობაში, არაერთ მსჯავრდებულს წარმოუდგენია განცხადებები როგორც რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტების მიღების პრობლემებზე, ისე ლოცვის სათანადოდ აღსრულების შეუძლებლობის საკითხზე. საქმეთა შესწავლა, მეტწილად, ავლენდა შესაბამისი პროცედურების თაობაზე მსჯავრდებულთა არასათანადო ინფორმირებულობას.

2021 წელს საქმისწარმოებას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი პატიმრის სატელეფონო მომართვა, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე არ გამოკრულა ყურბან-ბაირამთან დაკავშირებით ნებადართული კვების პროდუქტების სია მაშინ, როდესაც ამგვარი პრაქტიკა დანერგილია ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის საპასუხოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განმარტა, რომ პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსდება ინფორმაცია ნებადართული საკვები პროდუქტების შესახებ.[45] უწყების მითითებით, საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (sps.gov.ge) საშუალებითაც, როგორც მართლმადიდებლურ, ისე არადომინანტურ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით.[46] თუმცა სამსახურის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია განცხადებები, რომლებიც

[41] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 26-27.
[42] „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები", გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 70/175, წესი 6, 42; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, პუნ. 29.1-29.2, 22.1.
[43] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ", მუხ. 4; პატიმრობის კოდექსი, მუხ. 23, პუნ. 6.
[44] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №22: მუხლი 18 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), 1993, CCPR/C/21/Rev.1/Add.4, პარ. 4, 8.
[45] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 6 დეკემბრის №292813/01 წერილი.
[46] იქვე.

მიუთითებს, რომ საზოგადოების ინფორმირება ამანათების მიღების თაობაზე ხდება ისეთ დღესასწაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: შობა, აღდგომა, მარიამობა, გიორგობა და ახალი წელი.[47] ანალოგიური განცხადებები ქვეყნდება სოციალური ქსელის მეშვეობითაც.[48] მსგავსი ტიპის ინფორმაცია არ იძებნება არადომინანტური რელიგიური კონფესიების დღესასწაულებთან დაკავშირებით. შესაბამისი ბმულები არც სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციაშია მითითებული.

რაც შეეხება სალოცავ სივრცეებს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს მართლმადიდებლური სამლოცველო, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულებისთვის კი, სალოცავი სივრცეები გამოყოფილია მხოლოდ ორ (№3 და №5) პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებში, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულები რელიგიურ რიტუალებს საცხოვრებელ საკნებში ასრულებენ.[49]

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ნებადართული საკვები პროდუქტების თაობაზე არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულების ინფორმირება და, შედეგად, ამ შესაძლებლობით სრულყოფილად სარგებლობა, დამოკიდებულია ამა თუ იმ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციაზე, რომელთა მიმართაც არსებობს კითხვები შესაბამისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით. რისკები, მეტწილად, დაზღვეულია მართლმადიდებელ პატიმრებთან მიმართებით, ვინაიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახური უმთავრესი დღესასწაულების შემთხვევაში, საჯაროდ ახდენს საზოგადოების წინასწარ ინფორმირებას, რაც პატიმრების ოჯახის წევრებს შესაძლებლობას აძლევს, თავადაც მოიპოვონ ინფორმაცია დასაშვები პროდუქტების თაობაზე და უზრუნველყონ პენიტენციურ დაწესებულებებში მათი შეგზავნა.

ამავე დროს, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ მსჯავრდებულთათვის საკმარისი სალოცავი სივრცეების არარსებობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური ფორმალურად უდგება შესაბამის სტანდარტებსა თუ ნორმებში არსებულ დათქმას ამ მხრივ არსებული რელიგიური საჭიროებების შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილების თაობაზე.[50] სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქვეყანაში თანასწორობის უფლების გარანტირებისთვის, საკმარისი არ არის, სახელმწიფომ თავი შეიკავოს დისკრიმინაციული კანონმდებლობის თუ პრაქტიკების განვითარებისგან. ამ კუთხით, ყველაზე დიდი გამოწვევა სახელმწი-

[47] ხელმისაწვდომია: https://rb.gy/vr0uqx
[48] იხ. მაგალითად: https://rb.gy/l4qarg; https://rb.gy/uzmiri; https://rb.gy/30zru0
[49] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 6 დეკემბრის №292813/01 წერილი; აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მიღებულ მომართვაში, განმცხადებელი ითხოვდა მცირე სივრცის გამოყოფას, ვინაიდან, მისი მითითებით, საცხოვრებელ საკანში, საამისოდ არასაკმარისი ფართობის გამო, ვერ ხერხდება ლოცვის აღსრულება. ამასთანავე, საკანში განთავსებულია საპირფარეშო, ასეთ სივრცეში ლოცვა კი, შესაბამის რელიგიურ წესებს ეწინააღმდეგება.
[50] ამას ადასტურებს უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, სოციალური მუშაკებიიღებენინფორმაციასსხვადასხვარელიგიურიაღმსარებლობისმქონემსჯავრდებულებისგან მათი რელიგიური საჭიროებების შესახებ, რის შემდგომაც, შესაძლებლობის ფარგლებში, ხდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება (სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 6 დეკემბრის №292813/01 წერილი).

ფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულება - კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სიღრმისეულად შეისწავლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი და ამ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებით, გადადგას ხელშესახები ნაბიჯები არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე პატიმართათვის სალოცავი სივრცეების მოსაწყობად. გარდა ამისა, საჭიროა უფრო ეფექტიანი ღონისძიებების დანერგვა რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ნებადართული საკვები პროდუქტების თაობაზე მსჯავრდებულთა ინფორმირების მიზნით, რაც მოითხოვს, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის წევრებისთვის სახელმძღვანელო მითითებების სისტემატური სახით გაცემას, რათა მათ შესაბამის (მათ შორის, არადომინანტური რელიგიური კონფესიების) დღესასწაულებამდე გონივრული ვადით ადრე გამოაკრან შესაბამისი სიები პატიმრებისთვის თვალსაჩინო ადგილზე. ამასთანავე, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საზოგადოების ინფორმირება ამანათების მიღების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, საჯარო განცხადების სახით უნდა განახორციელოს რელიგიური უმცირესობების ძირითადი დღესასწაულების დროსაც. სასურველია, ამ განცხადებებს (ნებისმიერი დღესასწაულის შემთხვევაში) იქვე დაერთოს ნებადართული საკვები პროდუქტების სია.

# 5. არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა

თანასწორობის უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, არადომინანტური ეთნიკური კუთვნილების მქონე პირთა მხრიდან სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა არცთუ ისე მაღალია, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებისა და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე დაბალი ცნობიერებით, ხოლო, მეორე მხრივ - არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე ზრუნვის პრიორიტეტული საჭიროებით. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან არაერთი პირისპირი შეხვედრა გამართა,[51] რის შედეგადაც, სისტემურ პრობლემებად გამოიკვეთა, მათ შორის, საჯარო სერვისებზე წვდომის კუთხით არსებული ბარიერები და მესხების თემის წინაშე მდგარი გამოწვევები. საყურადღებო იყო, აგრეთვე, დმანისში ადგილობრივ მოსახლეობას შორის მომხდარი დაპირისპირება.

## 5.1. წვდომა საჯარო სერვისებზე

საჯარო მომსახურებაზე საყოველთაო წვდომის გარანტირება ინკლუზიის არსებითი ნაწილია,[52] ვინაიდან შესაბამისი პროგრამებითა და სერვისებით სარგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნაში.[53] საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2009 წელს მიიღო რეკომენდაციები მულტილინგვური სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფის თაობაზე, რადგანაც, არაქართულ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე უმცირესობებისთვის წვდომა საჯარო სერვისებზე გამოწვევა იყო.[54] სწორედ ამ პერიოდიდან, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის[55] შემუშავებით, დაიწყო ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ინტეგრაციის სფეროში. თუმცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაშიც აღიარებულია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ეკონომიკური უფლებების რეალიზებისა და სოციალური სიკეთეებით სარგებლობის თვალსაზრისით, კვლავ აწყდებიან სირთულეებს.[56]

---

[51] დეტალური ინფორმაცია იხილეთ 11.3 თავში

[52] ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრება „ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მრავალფეროვნების მართვის" შესახებ, პარ. 3.5, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/30o5i8

[53] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №356 დადგენილება, დანართი 1, გვ. 32-33.

[54] გარიყულობის წრის გარღვევა: უმცირესობათა უფლებები საქართველოში დღეს, Minority Rights Group International (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია), 2009, გვ. 4, 7, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/baklhq

[55] „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის N348 განკარგულება

[56] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N356 დადგენილება, დანართი 1, გვ. 33

უმთავრესი დაბრკოლება, ამ მიმართულებით, ენობრივი ბარიერია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით არაერთი პოზიტიური ღონისძიება განხორციელდა,[57] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ენის სწავლებაში სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების დონეზე დგას თანმიმდევრული, განგრძობითი და ერთიანი სისტემის შემუშავების პრობლემა.[58] ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების ვიზიტებმა ზრდასრულ მოსახლეობაში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზების გაძლიერების საჭიროება გამოკვეთა. ამასთანავე, სკოლის მოსწავლეები ქართული ენის სწავლების ხარისხით უკმაყოფილებას გამოხატავენ. საგულისხმოა, რომ მშობლების დიდი ნაწილი გამოთქვამს სურვილს, სკოლამდელი და სასკოლო განათლება მათმა შვილებმა მულტილინგვური სახით, ეთნიკურად ქართველ მოსწავლეებთან ერთად მიიღონ. მათი მითითებით, ეს, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს ქართული ენის შესწავლას (არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორებისგან განსხვავებით, სადაც კომუნიკაცია, ფაქტობრივად, მთლიანად მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, მათ შორის, ორენოვანი მასწავლებლების მხრიდან). ხოლო, მეორე მხრივ, ერთობლივი სწავლება ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის პროცესს ადრეული ასაკიდანვე, რადგან მათ ეთნიკურად ქართველ აღსაზრდელებთან და მოსწავლეებთან აქტიური ურთიერთობა ექნებათ. ის ფაქტი, რომ ე.წ. 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც უმაღლეს განათლებას ეთნიკურად ქართველ სტუდენტებთან ერთად იღებენ, მეტწილად, შედარებით კარგად ფლობენ ქართულ ენას,[59] ადასტურებს ამგვარი წუხილების საფუძვლიანობას.

თუმცა, სრულად ეფექტიანად ვერც ეს პროგრამა მიიჩნევა, რადგან შესაბამისი ენობრივი ჯგუფებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის გამო, სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება.[60] ამ ფონზე, კიდევ უფრო პრობლემურია ნორმატიული შეზღუდვა, რომლის თანახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარებზე არ ვრცელდება იმ პროგრამული მიმართულებების დაფინანსება, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.[61] შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დგებიან იმ რეალობის წინაშე, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი ან ოსური თუ აფხაზური ენების ტესტების ჩაბარების შემთხვევაში, სწავლის გასაგრძელებლად საკმარისი ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, ეჭვქვეშ დგება მათი მხრიდან უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

[57] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 291-292
[58] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N356 დადგენილება, დანართი 1, გვ. 16
[59] იქვე, გვ. 23; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 291.
[60] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 382; სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 411-412.
[61] „2021 - 2022 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 21 ივლისის №50/ნ ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 5.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის წინაშე საყურადღებო საკითხად დაისვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აზერბაიჯანული/სომხური ენისა და ლიტერატურის საგნების არარსებობა, რაც სტუდენტებს არ აძლევს ამ მიმართულებებით სპეციალიზაციის შესაძლებლობას და აიძულებს მათ, შესაბამისი განათლება აზერბაიჯანში/სომხეთში მიიღონ. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, 2022 წლის განმავლობაში განათლების სფეროში დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ რეფორმების ფარგლებში ხსენებული საკითხების გათვალისწინებას.

ენობრივი ბარიერის გამო, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ვერ ახერხებენ საჯარო სერვისებით სათანადოდ სარგებლობას, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობით დასაქმების ფაქტს უკავშირებს (განსაკუთრებით, მომხმარებლებთან პირველად საკონტაქტო რგოლებში (ოპერატორები, კონსულტანტები და სხვ.)). ხშირია, აგრეთვე, მისკომუნიკაცია, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, არაქართულენოვანი ბენეფიციარების მიმართ აგრესიაშიც გადაიზრდება. პრობლემა მეტად მწვავედ იჩენს თავს ისეთ შემთხვევებში, როცა მოქალაქეებს შესაბამისი სერვისის მიღება დიდ ქალაქებში ან დედაქალაქში უწევთ. მაგალითისთვის, ასეთი საჭიროება სისტემატურად დგება ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიღებისას, რასაც, უმთავრესად, სოფლად, პირველადი ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემები იწვევს.[62] ამასთანავე, პაციენტების სამედიცინო საჭიროებები არ ამოიწურება მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის რგოლით გათვალისწინებული მომსახურებებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი მოცემულობიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, იძულებულნი ხდებიან, თან წაიყვანონ ოჯახის წევრები, ახლობლები ან ნათესავები და მათი დახმარებით ესაუბრონ ექიმს, რაც, რა თქმა უნდა, დამატებით რისკ-ფაქტორებს უკავშირდება.[63] კომუნიკაციის პრობლემები გამოვლინდა ეროვნული უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელი სერვისების გამცემ ისეთ დაწესებულებებთან მიმართებითაც, როგორებიცაა: იუსტიციის სახლები, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები და კომერციული ბანკების ფილიალები.

შესაბამისი პროგრამებითა და სერვისებით სარგებლობას ხელს უშლის მათ შესახებ მწირი ინფორმაციაც. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გარანტიებს, რომელთა თანახმადაც, იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული წესი, რომელიც გულისხმობს, საჭიროების

[62] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი“, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/esme13

[63] ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი) გამჟღავნება, უხერხულობა, ნაკლები გულახდილობა, ვიზიტის დროის გადადება თანმხლები ადამიანების მოუცლელობის/ლოდინის გამო, მიმყოლის ქართულისა და სამედიცინო ენის ცოდნის არასათანადო დონე და სხვ. იხ. მაგალითად, საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 12-13, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/1zbnt4

შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისთვის მიკუთვნებული პირის მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას;[64] მუნიციპალიტეტის ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნას.[65]

სახალხო დამცველის აპარატმა, ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესასწავლად, ინფორმაცია გამოითხოვა იმ მუნიციპალიტეტებიდან, რომელთა ეთნიკური შემადგენლობის ნახევარზე მეტი არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება.[66] მიღებული კორესპონდენციების[67] მიხედვით, ნინოწმინდის, დმანისისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების მერიები განიხილავენ ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე შედგენილ განცხადებებს, თუმცა, ინფორმაციას გასცემენ სახელმწიფო ენაზე; დმანისის მუნიციპალიტეტის მერია დამატებით განმარტავს, რომ პასუხის მომზადების შემდეგ, დაინტერესებულ პირებს მას მათთვის გასაგებ ენაზე აცნობენ; წალკის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებები წარედგინება ქართულ ენაზე. მხოლოდ ქართულ ენაზე წარდგენილ განცხადებებს განიხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაც, რომელიც ამის მიზეზად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმისწარმოება მიმდინარეობს სპეციალური პროგრამის დახმარებით, რომელიც ცენტრალიზებულად გენერირებულია სახელმწიფო ენაზე, და ქართულის გარდა, სხვა ენებზე განცხადებების მიღების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, მუნიციპალიტეტი დამატებით განმარტავს, რომ მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში დასაქმებულები არიან ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი საჯარო მოხელეები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეებს მშობლიურ ენაზე მოემსახურებიან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განმარტებით, ნებისმიერი ეთნიკური კუთვნილების მოსახლეობისთვის ყოველწლიურად ხორციელდება სოციალური და ჯანდაცვის ყველა პროგრამა. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე ვრცელდება. თუმცა ამ პროგრამების გაცნობა, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალისტების, წარმომადგენლებისა და საკრებულოს წევრების დახმარებით და არა - მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი ნორმატიული აქტების თარგმნის გზით. ამ მხრივ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებს გაზეთ „ბოლნისთან" აქტიურ თანამშრომლობაზე , რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და მერის აქტივობების შესახებ ინფორმაციის აზერბაიჯანულ ენაზე განთავსებას გაზეთის ინტერნეტ გვერდზე,[68] რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

---

[64] „სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 11, პუნ. 4.
[65] იქვე, მუხ. 12, პუნ. 2.
[66] სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ეთნიკური მრავალფეროვნების რუკის მიხედვით: https://rb.gy/1pyfqc
[67] ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 29 ნოემბრის №122-1222133335 წერილი; წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 30 ნოემბრის №09/2520 წერილი; დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 30 ნოემბრის №108-1082133461 წერილი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 2 დეკემბრის №116-1162133646 წერილი; ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 14 დეკემბრის №106-10621348103 წერილი. აპარატს საპასუხო კორესპონდენცია არ მიუღია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისგან.
[68] იხ. https://rb.gy/egrsus; მუნიციპალიტეტი დამატებით მიუთითებს, რომ თვეში ერთხელ

ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებული 6 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ითარგმნება არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენაზე.[69] შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სოციალური ქსელების შემთხვევაში - აზერბაიჯანულ ან/და სომხურ ენებზე, ახალქალაქის[70] მუნიციპალიტეტის გარდა, ინფორმაციას განათავსებენ ნინოწმინდისა[71] და მარნეულის მუნიციპალიტეტებიც;[72] მართალია, სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციის საპასუხოდ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაც მიუთითებს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ, სოციალურ ქსელში განთავსდება აზერბაიჯანულ ენაზეც, თუმცა, გვერდის გადამოწმების შედეგად, დგინდება, რომ მხოლოდ კორონავირუსთან დაკავშირებული რამდენიმე მასალაა ხელმისაწვდომი აზერბაიჯანულ ენაზე;[73] წალკისა[74] და დმანისის[75] მუნიციპალიტეტები კი, ინფორმაციას მხოლოდ ქართულ ენაზე განათავსებენ. აღსანიშნავია, რომ წალკის მუნიციპალიტეტის განმარტებით, სოციალურ ქსელში ინფორმაცია განთავსდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, თუმცა, როგორც ჩანს, ეს სამომავლო გეგმად უნდა განვიხილოთ, ისევე როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, რომელიც მიუთითებს, რომ მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით მომსახურების შემოსატანად.

ამდენად, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე სახელმწიფო პროგრამებისა და საჯარო სერვისების შესახებ სათანადო ინფორმირება პრობლემურია კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებშიც და ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებშიც კი, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო სავალალო ვითარებაზე მეტყველებს სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტები ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციაზე საუბრობენ. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადებით, მიმდინარეობს მერის წარმომადგენლების სამუშაო ოფისების (ადმინისტრაციულ ერთეულებში) კომპიუტერით აღჭურვა და ინტერნეტით უზრუნველყოფა, მოსახლეობისათვის მომსახურების ადგილზე გასაწევად. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია კი, აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში, წარმომადგენლები ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები არიან, რათა მოქალაქეებს გაუადვილდეთ მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება და თავიანთი საჭიროებების თვითმმართველობამდე სწრაფად მიტანა. თუმცა, პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ წარმომადგენლების ჩართულობა და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია საკმარისად ვერ ჩაითვლება.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯო-

---

გაზეთის ბეჭდურ ვერსიაში აზერბაიჯანული ჩანართი თავსდება, სადაც მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს.

[69] იხ. http://akhalkalaki.ge/; https://rb.gy/spwi6b; https://www.tsalka.gov.ge/; https://www.dmanisi.gov.ge/; https://bolnisi.gov.ge/; https://www.marneuli.gov.ge/

[70] https://rb.gy/sgvswe

[71] https://rb.gy/qofcxu

[72] https://rb.gy/r2tyvk

[73] https://rb.gy/rmbgxz

[74] https://rb.gy/brexwz

[75] https://rb.gy/byozuc

ბესების მიზნის ქვეშ გვხვდება ამოცანა 8.1 - სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა. ამ ამოცანის შესასრულებლად, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მისი სსიპ-ების მიერ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის წლის განმავლობაში მინიმუმ 2 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას (40 ბენეფიციარი) და სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტების მერიების მიერ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, არანაკლებ 3000 ბენეფიციარისთვის, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას (8.1.1.3-8.1.1.4 აქტივობები).[76]

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ ღონისძიებებს და იმედს გამოთქვამს, რომ საინფორმაციო შეხვედრებს ფრაგმენტული ხასიათი არ ექნება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი აქტივობები 2017-2018 წლებშიც ხორციელდებოდა.[77] მიუხედავად ამისა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის 2019 წლის კვლევის თანახმად, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა 69.9% აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, პირადი ან ოჯახის საჭიროებებიდან გამომდინარე, არ მიუმართავს. ამასთანავე, გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიმართვასა და ქართული ენის ცოდნის ცვლადებს შორის. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპონდენტების ქართული ენის ცოდნის ინდექსის საშუალო მაჩვენებელი, რომლებსაც არც პირადი და არც საზოგადოებრივი საჭიროებების შესახებ არ მიუმართავთ, უფრო მცირეა, ვიდრე მათი, ვისაც ერთხელ მაინც მიუმართავს ამა თუ იმ საჭიროებისთვის.[78]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებამდე, მის შესახებ წარდგენილ მოსაზრებებში, ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებასთან ერთად, რეკომენდაციის სახით ასახა, რომ სტრატეგიის მიზანს - მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - დამატებოდა შემდეგი ამოცანა: ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველობის ორგანოების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდების თარგმნა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე.[79] ეს, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს, დროულად გაეცნონ და სისტემატურად მიუწვდებოდეთ ხელი შესაბამისი სერვისებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციაზე.

[76] ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ftl06r
[77] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, გვ. 15-16, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/jthm33
[78] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, ღია საზოგადოების ფონდი, 2019, გვ. 78, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/yc1qqa
[79] რეკომენდაციების პრეზენტაცია გაიმართა 2021 წლის 14 აპრილს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://rb.gy/hiegxp

სწორედ ამ მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ოფისებში დასაქმებულნი არიან პირები, რომლებიც ქართულთან ერთად, კარგად ფლობენ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს და აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე, მნიშვნელოვან საკონტაქტო რგოლს წარმოადგენენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და აპარატის სხვა დეპარტამენტებს შორის და, ამასთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახურიც უფასოა, ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენებზე.[80]

სხვა საჯარო სერვისებზე წვდომის საკითხთან დაკავშირებით, დამატებით, აღსანიშნავია, რომ, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ფინანსურ ბარიერებსაც აწყდებიან, ვინაიდან არაერთი მომსახურება ფასიანია. მაგალითისთვის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში კრიტიკულად დგას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხი.[81] ამ მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, ადგილობრივი მოსახლეობა ამბობდა, რომ სხვა პრობლემებთან ერთად, საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის მათთვის დამატებითი სირთულეა იმ ფინანსური რესურსის მოძიებაც, რაც აუცილებელია როგორც შესაბამისი სერვისის მისაღებად,[82] ისე ამ მიზნით წარსადგენი დოკუმენტაციის შესადგენად. სოციალური გაჭირვება მნიშვნელოვან დაბრკოლებად იკვეთება ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის კუთხითაც. ერთ-ერთი უახლესი კვლევით გამოვლინდა, რომ, მაგალითად, მარნეულსა და აჭარაში ქალების უმრავლესობა ექიმს მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმდება და ტკივილი გაუსაძლისია, სხვა შემთხვევაში, ისინი ტკივილთან თანაცხოვრებას სწავლობენ.[83]

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საჯარო სერვისებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომა დაკავშირებულია ისეთ დაბრკოლებებთან, როგორებიცაა ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური ბარიერი, სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს, ამ პრობლემების გადაჭრაზე სისტემური მუშაობის პარალელურად, შესაბამის პროგრამებსა და მომსახურებებზე ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებას ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე, არა მხოლოდ საინფორმაციო კამპანიების ჩატარების, არამედ, შესაბამისი პროგრამების და საჯარო სერვისების გამცემი დაწესებულებების (განსაკუთრებით, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების) ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდების ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე თარგმნის საშუალებით.

---

[80] იხ. https://ombudsman.ge/aze; https://ombudsman.ge/arm
[81] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 10, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/vbdbwd
[82] საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომსახურების საფასურის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://rb.gy/umedlq
[83] საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 10-20, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/1zbnt4

ზემოაღნიშნულთან ერთად, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო უწყებების აქტიური და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საჯარო სერვისებზე წვდომასა თუ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მხრივ, პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში, როდესაც სახალხო დამცველის აპარატს მომართეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისთვის საკანონმდებლო ორგანოსთან კომუნიკაციის პროცესში დაბრკოლებების შექმნისა და მის მიმართ არაეთიკური ქცევის ფაქტთან დაკავშირებით, რასაც ეთნიკურ ნიადაგზე მიუღებლობის კონტექსტიც ახლდა.[84] იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია საქართველოსთვის გამოწვევად რჩება, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან ურთიერთობის პრობლემები უარყოფითად აისახება არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების თანასწორუფლებიანობაზე, რადგანაც მათ ართმევს შესაძლებლობას, მოახდინონ იმ იდეების გენერირება თუ უნიკალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული პოზიციების გაჟღერება, რომლებიც გავლენას მოახდენს მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

## 5.2. მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები

საჯარო სერვისებზე წვდომა და ინტეგრაცია პრობლემურია მესხების თემისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, მათ უფლებრივ მდგომარეობაზე აისახება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის[85] თანახმად, 1944 წლის 15-17 ნოემბერს, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოდან შუა აზიაში გადაასახლა სამხრეთ საქართველოში, ძირითადად, მესხეთის რეგიონში მცხოვრები 20 000-მდე ოჯახი. შემდგომი მიგრაციული პროცესების შედეგად, გადასახლებული პირები და მათი შთამომავლები განსახლებულნი არიან აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციაში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქეთში, უკრაინასა და აშშ-ში. 1970-იანი წლების ბოლოდან, საქართველოშიც დაბრუნდნენ გადასახლებულების შთამომავლები და დღეისათვის ცხოვრობენ გურიის, იმერეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. საქართველომ, ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას (1999 წელი), აიღო ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტეგრაციის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის უფლების შესახებ სამართლებრივი ბაზის შექმნას.

ხელშესახები ნაბიჯები ამ მიმართულებით მხოლოდ 2007 წელს გადაიდგა კანონის მიღებით, რომლითაც განისაზღვრა რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცე-

[84] განმცხადებელი მიუთითებდა, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა, რის შესახებაც ინფორმაცია მისთვის ერთი დღით ადრე გახდა ცნობილი სატელეფონო საუბრის მეშვეობით. განცხადების თანახმად, შეხვედრის ჩაშლის მიზეზი გახდა განმცხადებლის *„სომეხთან ურთიერთობა“* და შესაბამისი პიროვნების დამსწრეთა სიაში ყოფნის ფაქტი.
[85] ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ykn4fe

დურები და რეპატრიანტებს მიენიჭათ უფლება, მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით.[86] კანონის საფუძველზე, რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭა 1998 პირს, რომელთაგან მოქალაქეობის მისაღებად სახელმწიფოს 494-მა პირმა მიმართა და მათ მიენიჭათ პირობადებული მოქალაქეობა.[87]

სავარაუდოდ, იმის გამო, რომ მესხების რეპატრიაციის პროცესის დასასრულებლად საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან 12-წლიანი ვადა ჰქონდა განსაზღვრული,[88] ზემოთ ხსენებული კანონით, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადად 2009 წლის 1 ივლისი განისაზღვრა[89] (მხედველობაშია მისაღები, რომ რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირი ვალდებული იყო სტატუსის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში წარედგინა განცხადება საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე[90]). დღეის მდგომარეობით, „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება ძალადაკარგულია.[91]

თუმცა საქართველოდან 1944 წელს გადასახლებულ პირთა (20 000-მდე ოჯახი) და იმ მესხების რაოდენობრივი თანაფარდობა, რომლებმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა (494 პირი), ადასტურებს, რომ მესხების თემის რეპატრიაციის პროცესი დასრულებულად ვერ ჩაითვლება. ანალოგიური შეფასება აისახა 2019 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებებშიც, როდესაც მიეთითა, რომ საქართველოში, რეალურად, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის დეპორტირებული მესხები დაბრუნდნენ.[92]

სხვადასხვა რეგიონში თემის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრებისას[93] და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების შესწავლის შედეგებით გამოიკვეთა, რომ მესხთა ნაწილი ვერ ახერხებს მოქალაქეობის მიღებას, რადგან მათ უკვე გაუშვეს მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებული პროცედურით სარგებლობის ვადა, მოქალაქეობის მინიჭების სხვა არსებული პროცედურა კი მათთვის გადაულახავ ბარიერებს ქმნის, მათ შორის, ენის არცოდნის, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის, საქართველოში მუდმივად და უწყვეტად ცხოვრების გამოცდილების არქონის პირობების გამო.[94] ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, მესხების თემის ტრადი-

[86] „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 9, პუნ. 1.
[87] საქართველოს პირობადებული მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ ბრძანებულების გამოცემიდან 5 წლის ვადაში მათ უნდა დატოვონ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ykn4fe
[88] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1999 წლის დასკვნა 209, პუნ. 10.2(„ე"), ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ntyumz
[89] „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 4, პუნ. 7.
[90] „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №87 დადგენილება, მუხ. 2.
[91] „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №87 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №570 დადგენილება.
[92] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, 2019, პარ. 43, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/g0rx5r
[93] დეტალური ინფორმაცია იხილეთ 11.3 თავში.
[94] სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2021 წლის 25 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/95xvos

ციებით, მიღებული პრაქტიკაა ოჯახების შექმნა მესხ კაცსა და მესხ ქალს შორის. შესაბამისად, ხშირად, საქართველოში მცხოვრები მესხი კაცები (რომელთა ნაწილი საქართველოს მოქალაქეა), სხვა ქვეყნის მოქალაქე მესხ ქალებზე ქორწინდებიან, რაც მიანიშნებს, რომ გადასახლებული პირების საქართველოში დაბრუნება დენადი პროცესია და სტაბილური სამართლებრივი გარანტიების არსებობას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია ისეთი უფლებრივი და სოციალური პრობლემები, რომლებიც მოქალაქეობის არქონის გამო, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა თუ სხვა საჯარო სერვისებით მოსარგებლეთა წრიდან მესხთა გამორიცხვას უკავშირდება.[95] აღსანიშნავია, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, პრობლემურია მათთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაც.

არსებულ ვითარებაში, მესხებისთვის მოქალაქეობის მინიჭების ერთადერთ გზად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დადგენილი სტანდარტული პირობების შესრულება რჩება, რაც, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნას უკავშირდება.[96] სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, მესხების თემის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქართული ენის სწავლას, საკუთარი ძალებით, შვილების სასკოლო სახელმძღვანელოების დახმარებით ცდილობენ, რაც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებამდე, მის შესახებ წარდგენილ მოსაზრებებში ასახა რეკომენდაცია დოკუმენტში შემდეგი ამოცანის გათვალისწინების შესახებ: ე. წ. შერეული ოჯახების იმ წევრების ან საქართველოში მცხოვრები მუდმივი ბინადრობის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სხვა პირებისთვის, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ ფლობენ ქართულ ენას, ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზება, რომელიც, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად სახელმწიფო ენის გამოცდაზე იქნება ორიენტირებული. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ არ დაივიწყოს მესხების ისტორიული კავშირი სამშობლოსთან (საქართველოსთან) და კვლავ დანერგოს პროცედურები მათთვის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მისანიჭებლად. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო სტრატეგია რეპატრიაციის შესახებ, თუმცა, სტრატეგია ვრცელდება მხოლოდ იმ პირთა ჯგუფზე, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვთ რეპატრიანტის სტატუსი ან/და საქართველოს მოქალაქეობა.[97] ლოგიკურია, რომ 2019 წელს საქართველომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტისგან მიიღო მოწოდება, გაეგრძელებინა ძალისხმევა გადასახლებული მესხების ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშესაწყობად.[98]

---

[95] იხ. მაგ., სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვიდეორეპორტაჟი: „მესხების ცხოვრება „უცხოობაში“, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2gd94n

[96] „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 12, პუნ. 1(„ბ“), მუხ. 14, პუნ. 1.

[97] „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 სექტემბრის №1671 განკარგულება, პრეამბულა.

[98] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, 2019, პარ. 48, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/g0rx5r

## 5.3. დმანისის კონფლიქტი

მაშინ როცა კულტურათაშორისი დიალოგი სამოქალაქო თანასწორობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია,[99] ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ისეთი მოვლენები, რომელიც 2021 წლის 16-17 მაისს დმანისში ადგილობრივ მოსახლეობას შორის ძალადობრივი ინციდენტის სახით გამოვლინდა.

ადგილზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე დაიწყო და ორდღიან უმართავ ჯგუფურ ძალადობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა.[100] საგულისხმოა, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებისა და ორგანიზაციის მხრიდან კონფლიქტის გაშუქებისა და მიმოხილვის შედეგად, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებად ეთნიკურად ქართველი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები იკვეთებიან.[101] შესაბამისად, სახალხო დამცველმა განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საჯარო გამოხმაურებისას, საგანგებოდ მიუთითა დმანისის მრავალეთნიკურ მოსახლეობას შორის დაპირისპირების საფრთხესა და სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე, სამომავლოდ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, კონფლიქტის მიზეზების სწორად შესაფასებლად და გასააზრებლად, სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით უფრო აქტიური პოლიტიკის გასატარებლად.[102]

სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი უწყებებისგან გამოითხოვა ინფორმაცია, მათ შორის, დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტური სიტუაციის განსამუხტად გატარებული და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე.[103] თუმცა საპასუხო კორესპონდენციებში მიეთითა, რომ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დმანისში დაპირისპირება არ დაწყებულა ეთნიკურ ნიადაგზე, არც გამოძიების პროცესში გამოკვეთილა ეთნიკური ნიშნით სიძულვილის მოტივი;[104] დაზარალებულად ცნობილია ექვსი პირი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ) ბრალდება წარედგინა შვიდ პირს.[105]

სახალხო დამცველი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ერთზე მეტი მოტივი შეიძლება ჰქონდეს.[106] მრავალი და-

[99] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №356 დადგენილება, დანართი 1, გვ. 56.
[100] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 18 მაისის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/cctjo3
[101] იხ. მაგალითად: https://rb.gy/dfe3zf; https://rb.gy/hykauu; https://rb.gy/9edqte; დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4pv4jb
[102] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 18 მაისის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/cctjo3
[103] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 17 მაისის №13-1/4684 წერილი; სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 4 ნოემბრის №13-1/10547 წერილი.
[104] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 28 მაისის №MIA 1 21 01340546 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 12 ნოემბრის №MIA 8 21 02982973 წერილი.
[105] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 29 ნოემბრის №13/72133 წერილი.
[106] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ეუთო, გვ. 63, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/qx9hwh

ნაშაული ისეთი ინციდენტების დროს ხდება, რომლებიც სხვა მიზეზით დაიწყო, მაგალითად, საგზაო შემთხვევის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი, და ეს მოტივები ინციდენტის მიმდინარეობისას ამა თუ იმ ნეგატიური განწყობის დანაშაულში გადაიზარდა; თავად ჩხუბის დროს კი, ხშირად გამოიყენება, მათ შორის, რასისტული, ეთნიკური, რელიგიური შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.[107] დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ყველა შესაძლო ღონისძიების გატარების გზით, გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის ფაქტს შორის სავარაუდო კავშირი.[108]

დმანისის კონფლიქტში მონაწილე მხარეების ეთნიკური შემადგენლობისა და იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა წყაროები დაპირისპირების პროცესში ეთნიკური ნიშნით შეურაცხმყოფელი ფრაზების გაჟღერებაზე მიუთითებს,[109] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ძალადობის გამომწვევი ინციდენტის ყოფით ნიადაგზე დაწყების ფაქტი არ გამორიცხავს სავარაუდო ეთნიკური მოტივის არსებობას, რასაც, შესაძლოა, კონფლიქტის ესკალაცია და გამოვლენილი მასშტაბით განვითარება გამოეწვია. შესაბამისად, კვლავ დღის წესრიგში დგას მომხდარის სამართლებრივი შეფასების, დაპირისპირებაზე ზეგავლენის მომხდენი ყველა ფაქტორის სიღრმისეული გააზრებისა და, სამომავლოდ, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერების საჭიროება.

[107] დეტალურად იხ. სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wyfkst
[108] დეტალურად იხ. სახალხო დამცველის ანგარიში „სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ", ხელმისაწვდომია: https://rb.gy/devxsf
[109] იხ. მაგალითად: https://rb.gy/hykauu; დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 8, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4pv4jb

# 6. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა

ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის მხრივ, წელს, რა თქმა უნდა, დრამატული იყო 5 ივლისს ღირსების მარშის მოწინააღმდეგე ძალადობრივი ჯგუფების ქმედებები, რომლის საპასუხოდ სამართლადამცავთა უმოქმედობა კრიტიკას ვერ უძლებს. მოძალადე ჯგუფების თავდასხმების შედეგად დაშავდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების თანამშრომლები, უფლებადამცველები და სხვა მოქალაქეები, რამდენიმე შემთხვევაზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერების მიერ ძალადობის საჯაროდ მოწოდების ფაქტებს სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.

თემის წევრებისათვის სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების სრულყოფილი რეალიზება წელსაც პრობლემური იყო. გამოწვევები უკავშირდებოდა შრომით უფლებებს, ბარიერებს საბინაო სფეროში თუ ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისას, გამოწვევებს განათლების სფეროში, წვდომას ეკონომიკურ რესურსებზე და სხვ.

## 6.1. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება. სახელმწიფოს სამართლებრივი და პოლიტიკური უმოქმედობა, ანტიდემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობების გაძლიერების მიზეზების, ჰომოფობიის პოლიტიკური და სოციალური ეფექტის ანალიზის არარსებობა განაპირობებს ლგბტ+ ადამიანების მიმართ ძალადობას, დისკრიმინაციას და მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში ხელის შეშლას.

კვლავ კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტ+ თემის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით. ლგბტ+ თემის წევრები/აქტივისტები, წლებია, უსაფრთხოდ შეკრებისთვის და საჯარო სივრცეების მოსაპოვებლად იბრძვიან და ამ მხრივ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდმაც ცხადად დაადასტურა, რომ ვითარება, არათუ გაუმჯობესდა, არამედ, მკვეთრად გაუარესდა. სახალხო დამცველი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ 2019 წელს მოუწოდებდა ბოლო წლებში ლგბტ+ თემის წარმომადგენლების გამოხატვის და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ინდივიდუალური ფაქტების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გააზრებისა და ამ მიმართულებით ერთიანი პრევენციული და რეაქტიული ღონისძიებების დაგეგმვისკენ. სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების უფლების დასაცავად, ბუნდოვანი იყო და არ ადასტურებდა უფლებათა დაცვის სისტემური ხედვის ქონას და ფაქტების პოტენციური შედეგების ანალიზს.[110]

[110] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ნოემბრის ზოგადი წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/UTG7Dma
*სახალხო დამცველმა ზოგად წინადადებაში მიმოიხილა ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების რეალიზების მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა იმ ფაქტების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივლისის ჩათვლით. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა 2018 წლის*

ამასთანავე, თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ საგანგაშო იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების მაჩვენებელი და მნიშვნელოვანი იყო ამ ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა.[111]

2021 წლის 1 ივლისს თბილისში „პრაიდ კვირეული" კულტურული ღონისძიებებით გაიხსნა, მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება და ქვიარ მუსიკალური ფესტივალი. „პრაიდის კვირეულის" კულტურული ღონისძიებები მეტ-ნაკლებად არაძალადობრივ გარემოში ჩატარდა და ლგბტ+ თემს მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა შეკრების თავისუფლებით.

კვირეული 5 ივლისს „ღირსების მარშით" უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ხელისუფლების მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობისა და 5 ივლისს გამოვლენილ ძალადობრივ ქმედებებზე არასათანადო რეაგირების გამო, „ღირსების მარში" არ ჩატარდა.

2021 წლის 5 ივლისს, ძალადობრივი ჯგუფები „ღირსების მარშის" ჩასაშლელად რუსთაველის გამზირზე დილიდან შეიკრიბნენ. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს, რაც, დღის განმავლობაში, საგამოძიებო უწყებების უმოქმედობამ მნიშვნელოვნად წაახალისა. 2021 წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეების თავდასხმების შედეგად დაშავდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების თანამშრომლები, უფლებადამცველები და სხვა მოქალაქეები. ძალადობრივი ჯგუფები ხელს უშლიდნენ ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში;[112] ერთ-ერთმა სასულიერო პირმა აქციაზე განაცხადა: *„არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ!"*[113] გარდა ამისა, ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები აძვრნენ „თბილისი პრაიდის" აივანზე და დროშები ჩამოხსნეს, ასევე, დააზიანეს „თბილისი პრაიდის" კუთვნილი ინვენტარი.[114] მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისთან კი, „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეები კორპუსის მცხოვრებლებს, სადაც „სირცხვილიას" ოფისია განთავსებული, აივნებზე სხვადასხვა ნივთებს ესროდნენ, ასევე ჩაამსხვრიეს „სირცხვილიას" ოფისის ფანჯრების შუშები.[115] გარდა ამისა, თავს დაესხნენ „ადამიანის უფლებათა სახლს", რომლის ტერიტორიაზეც პიროტექნიკა ისროლეს.[116] რამდენიმე მოქალაქეს კი ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩაცმულობის გამო.[117]

მაშინ, როდესაც ძალადობრივი ჯგუფები ღია აგრესიას გამოხატავდნენ მედიის წარმომადგენლების მიმართ, დაძაბული ფონი კიდევ უფრო გაამძაფრა საქართველოს

---

*9 სექტემბერს საფეხბურთო მოედანზე ლგბტ+ სიმბოლიკის შეტანის აკრძალვის საკითხზე, ასევე, 2019 წლის 18-23 ივნისს დაგეგმილი „ღირსების მარშის" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და ლგბტ+ ადამიანების წინააღმდეგ ჰომოფობიურად განწყობილი ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების ტენდენციაზე.*

[111] **დამატებით იხ.** საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, გვ. 23 https://cutt.ly/DTP57nT

[112] იხ. https://cutt.ly/7Yj6oXO https://cutt.ly/YYj6lAy

[113] იხ. https://cutt.ly/gYj6UQg

[114] იხ. https://cutt.ly/FYj65bE https://cutt.ly/kYkqzUU

[115] იხ. https://cutt.ly/vYkqLCT

[116] იხ. https://cutt.ly/5YkwvZN

[117] იხ. https://cutt.ly/xYkwMxL https://cutt.ly/kYkw6dk https://cutt.ly/4YkeeWj

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამ[118], რომელმაც „ღირსების მარში" სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრაიდის უკან „რევანშისტული და რადიკალური" პოლიტიკური ძალები დგანან. გარდა ამისა, პრემიერმა-მინისტრმა პირდაპირ მიუთითა, რომ „ღირსების მარშის" ჩატარება არ მიაჩნია მიზანშეწონილად და აქცია არ უნდა ჩატარებულიყო რუსთაველის გამზირზე. სამწუხაროდ, ლგბტ+ თემზე პასუხიმგებლობის გადატანით, პრემიერმა წაახალისა სიძულვილის ჯგუფების ქმედებები. ეს განცხადება ცხადყოფს, რომ ხელისუფლება არა მხოლოდ არ უზრუნველყოფს ლგბტ+ თემის კონსტიტუციური უფლებების დაცვას, არამედ, რიგ შემთხვევებში, ლეგიტიმაციასაც კი უკეთებს თემის წინააღმდეგ განწყობილი ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს.

ამასთანავე, 5 ივლისის მოვლენებს წინ უსწრებდა ძალადობრივი ჯგუფების ლიდერებისა და სხვა წევრების საჯარო მოწოდებები ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ. ძალადობისკენ არაერთი მოწოდება გაისმა უშუალოდ 5 ივლისსაც. ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას *ზურაბ მახარაძისა* და *სპირიდონ ცქიფურიშვილის* მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიმართა.[119] ზურაბ მახარაძის მიმართ დევნის დაწყების წინადადებას საფუძვლად დაედო საჯაროდ გავრცელებული ვიდეომასალები,[120] რომლითაც დასტურდება, რომ 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებამდე „ალტ-ინფოს" ეთერით ზურაბ მახარაძე და სხვა პირები განუწყვეტლივ აანონსებდნენ ძალადობას „თბილისი პრაიდის" მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილე პირთა მიმართ. ძალადობრივი მოწოდებები ისმოდა ჟურნალისტთა მიმართაც. ამავე პირებმა, სატელევიზიო ეთერით გაავრცელეს ინფორმაცია ჯგუფების შექმნის შესახებ, რომელთა უშუალო დანიშნულება უნდა ყოფილიყო 5 ივლისს ძალადობა. სახალხო დამცველის წინადადებაში დასაბუთებულია, რომ 5 ივლისს ზურაბ მახარაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯგუფურ ძალადობას, მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოს წინ დადგმული საპროტესტო კარვების გატანასა და მოძრაობა „სირცხვილიასა" და „თბილისი პრაიდის" ოფისების დარბევის მიზნით სხვადასხვა ჯგუფების გამოყოფას.

სახალხო დამცველმა, გენერალურ პროკურატურას ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე კიდევ ერთი წინადადებით მიმართა და დეკანოზ სპირი-

[118] **დამატებით იხ.** 5 ივლისს 11:00 საათზე, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება *„დღევანდელი აქციის ორგანიზატორების უკან დგანან ისევ რევანშისტული, რადიკალური ჯგუფები, კერძოდ, რადიკალური ოპოზიცია სააკაშვილის მეთაურობით. ისინი არიან ჩართულები, აბსოლუტურად სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას, ისინი უკეთებენ ორგანიზებას აღნიშნულ მარშს და ამ აქციებს. რა თქმა უნდა, მათი მიზანია ქვეყანაში სამოქალაქო არეულობის და ქაოსის შემოტანა, რაც, რა თქმა უნდა, არ განხორციელდება და ამას ჩვენ არ დავუშვებთ. როგორც ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს სურს, ისე იქნება ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში"; „დღევანდელი აქცია სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს.* მოგეხსენებათ, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის აღნიშნული აქციის ჩატარება არის მიუღებელი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული აქცია არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე". https://cutt.ly/zTGKbeM; https://cutt.ly/3TGLdFw

[119] სახალხო დამცველს აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს გამოძიების, ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, როდესაც არსებობს დანაშაულის ნიშნები, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 3 სექტემბრის წინადადება საქართველოს გენერალურ პროკურორს, ირაკლი შოთაძეს, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QTGMbdg; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 3 სექტემბრის წინადადება საქართველოს გენერალურ პროკურორს, ირაკლი შოთაძეს, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zTGMAQM

[120] იხ. https://cutt.ly/HYkykaz

დონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა. კერძოდ, 5 ივლისს დეკანოზმა ხმის გამაძლიერებლების საშუალებით მოუწოდა მოქალაქეებს ძალადობისკენ, რითიც გასცდა გამოხატვის თავისუფლებას და ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239[1] მუხლით აკრძალული ქმედება - ძალადობის მოწოდება, რომელიც ქმნის ძალადობრივი ქმედების ჩადენის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

წინადადებების საპასუხოდ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ სპირიდონ ცქიფურიშვილისა და ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.[121]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შემაშფოთებელია ის საფრთხის შემცველი და მტრული გარემო, რაც ჟურნალისტების და ოპერატორების მიმართ არის ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში. მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანდა, თუ როგორ ესხმოდნენ თავს ძალადობრივი ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს. უმძიმესია „ტვ პირველის" ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტი, რომელიც სწორედ 5 ივლისის ძალადობრივი თავდასხმების ერთ-ერთი მსხვერპლი იყო, 11 ივლისს კი ოჯახის წევრებმა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტის ეფექტიანი გამოძიებისა და ლექსო ლაშქარავას სხეულის დაზიანებებს, ფსიქოლოგიურ-ემოციურ სტრესსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისკენ მოუწოდა.[122]

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, საჯაროდ გავრცელებული მტკიცებულებები, სულ მცირე, ორი პირის მიმართ შესაბამისი ბრალის წარდგენის სტანდარტს აღწევს, საქართველოს პროკურატურას დღემდე არ დაუწყია სისხლისსამართლებრივი დევნა 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი მოვლენების ორგანიზატორების მიმართ. საქართველოს პროკურატურა 2021 წლის 9 დეკემბრის პასუხში, კონკრეტული პირების სახელდების გარეშე მიუთითებს, რომ მხოლოდ „თბილისი პრაიდის" ოფისში შეჭრისა და დაზიანების ფაქტის გამო 3 პირს წარუდგინა ბრალდება, მათ შორის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხების[123] თანახმად, 2021 წლის 5 ივლისს, გამოძიება დაიწყო რუსთაველის გამზირზე ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობისა და ძალადობის მუქარით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის[124], მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისის დაზიანების,[125] „თბილისი პრაიდის" ოფისის დაზიანების[126], არასამთავრობო ორგანიზაციის, „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის", მიმართ გამოვლენილი ძალადობისა და ქონე-

[121] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის წერილი №13/74440.
[122] იხ. https://cutt.ly/jYkoUFe
[123] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 6 სექტემბრის წერილი MIA 3 21 02348936 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის წერილი MIA 2 21 03461514.
[124] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 239[1] მუხლის მე-2 ნაწილით.
[125] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187 -ე მუხლის 1 ნაწილით.
[126] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის I ნაწილით.

ბის დაზიანების ფაქტზე[127], საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანების დაზიანების[128], რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშის დაზიანების[129], რუსთაველის გამზირზე შეკრებილი „ლგბტ+" წევრების მიმართ ჩადენილი ძალადობის[130] და 2021 წლის 6 ივლისს, სამართალდამცველებზე თავდასხმისა და წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებზე.[131]

სახალხო დამცველის მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბერს წარმოდგენილი ინფორმაციით იკვეთება, რომ 2021 წლის 5 - 21 ივლისის პერიოდში, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით, ბრალდება წარედგინა 31 პირს. ამ პირებიდან 28-ს ბრალდება წარედგინა ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და ძალადობის სხვადასხვა ფაქტზე.[132] „თბილისი პრაიდის" ოფისში შეჭრისა და დაზიანების ფაქტზე კი, ბრალდება წარედგინა 3 პირს.[133]

პროკურატურის პასუხის თანახმად, დაზარალებულად ცნობილია 53 პირი, მათ შორის, 42 ჟურნალისტი და ოპერატორი[134], 7 მოქალაქე[135], 3 უფლებადამცველი[136] და 1 არასამთავრობო ორგანიზაცია.[137] ამასთანავე, სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: *5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლების რა რაოდენობა იყო შეკრებილი და დღის რომელ მონაკვეთში; რომელი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა იყო 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე პრევენციული და რეაქციული ღონისძიებების გა-*

[127] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.
[128] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის I ნაწილით.
[129] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის I ნაწილით.
[130] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის I ნაწილით.
[131] დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.
[132] შენიშვნა: **15 პირს ბრალდება** წარედგინა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; **8 პირს** ბრალდება წარედგინა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; **3 პირს ბრალდება** წარედგინა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; **1 პირს ბრალდება** წარედგინა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; **1 პირს ბრალდება** წარედგინა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.
[133] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.
[134] მაკა ჯაბუა, რატი წვერავა, ლევან ბრეგვაძე, მირანდა ბაღათურია, ზურაბ ცერცვაძე, მარიამ ქუმსიაშვილი, სალომე ბოკუჩავა, შოთა კერვალიშვილი, ირაკლი ბახტაძე, დიმიტრი ყირიმლიშვილი, გიორგი პერტია, გუგა დვალიშვილი, ზურაბ მანაგაძე, შოთა სიკინჭალაშვილი, ალექსანდრე ლაშქარავა, თორნიკე მანდარია, დეა მამისეიშვილი, თამარ თათარაშვილი, ანი ფაცია, ილია თვალიაშვილი, გიორგი გაბუნია, მარიამ გოცირიძე, ანრი ჯოხარიძე, რომა ტარუღიშვილი, თეონა სუსარეიშვილი, დავით ქორიძე, გიორგი ნიკოლიშვილი, თორნიკე ბარნაბიშვილი, დავით ახალაძე, ვახტანგ ქარელი, თამუნა ჩქარეული, ლუკა ხაჩიძე, ლევან გაბუნია, ვაჟა ჩხაიძე, გურამ მაისურაძე, ნინო ვარძელაშვილი, მერაბ ცაავა, ლევან კალანდია, ნიკოლოზ ქალიაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბექა მშვილდაძე და ბექა ათაბეგაშვილი.
[135] ნ. ზ., გ. ი., ნ. ნ., ა. ბ., არასრულწლოვანი ლ. ბ., ნ. უ. და გ. ბ.
[136] ხატია ახლაია-კუჭუხიძე, ნათია კობერიძე, გიორგი თაბაგარი.
[137] ააიპ „თბილისი პრაიდი".

*ტარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი მითითებების გაცემა; რა პრევენციული და რეაქციული ღონისძიებები გაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წლის 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფებისგან მშვიდობიანი მოქალაქეებისა და მედიის წარმომადგენლების დასაცავად, მათ შორის, რომელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებულები უშუალოდ რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიებზე; იყო თუ არა რუსთაველის გამზირზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული სპეციალური საშუალებები; დეტალური განმარტება გარემოებებისა, რომელთა გათვალისწინებითაც რუსთაველის გამზირზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სიტუაციის ესკალაციასთან ერთად, არ ხდებოდა სამართალდამცავთა სათანადო მობილიზება და მათი რაოდენობის შესაბამისი ზრდა; რატომ არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული მოძრაობა „სირცხვილიას" და „თბილისი პრაიდის" ოფისებთან სამართალდამცავთა წინასწარი მობილიზება;* სახალხო დამცველის შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაატარა ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები ძალადობის თავიდან ასარიდებლად, ხოლო დანაშაულებრივ ფაქტებს ჯერაც არ მოჰყოლია სრულფასოვანი და ადეკვატური რეაგირება. ამის საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა[138], რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შემთხვევაში კი, უსაფრთხოების გეგმა მუშავდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის დაწყებიდან გონივრულ ვადაში. სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სახელმწიფო საიდუმლოების მოთხოვნათა დაცვით. სამოქმედო გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება მონაცემები: სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების შესახებ; სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანამიმდევრობის შესახებ; სპეციალური ღონისძიების ჩატარებისთვის სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/პირების შესახებ; პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ და სხვ. აღსანიშნავია, რომ მოწოდებული ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და გამოთხოვილ ინფორმაციაზე კონკრეტულ პასუხებს არ იძლევა.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას და თანამდებობის პირებს, წინა წლების უმძიმეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც „ღირსების მარშის" მონაწილეების უსაფრთხოებას, გამოხატვის და შეკრების თავისუფლებებს რეალურად დაიცავს; დაუსჯელობის განცდისა და მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყოს 5 ივლისს მომხდარი ყველა დანაშაულის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება, დაიგეგმოს ღონისძიებები საზოგადოებაში თანასწორობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და ცხადად გაკეთდეს ლგბტ+ თემის მხარდამჭერი საჯარო განცხადებები.

[138] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის წერილი MIA 2 21 03461514.

## 6.2. ლგბტ+ თემის მიერ ეკონომიკურ-სოციალური უფლებების რეალიზება

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, მიმდინარე წლის განმავლობაში, თემის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სამსჯელოდ და ინფორმაციის/გამოცდილების გასაზიარებლად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში შეხვედრები გამართეს ლგბტ+ თემის წარმომადგენლებთან, აქტივისტებთან და ლგბტ+ უფლებადამცველებთან. შეხვედრებმა ცხადყო, რომ ლგბტ+ თემის წინაშე არსებული გამოწვევები მრავალწახნაგოვანია და გართულებულია თემის წევრებისათვის სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების სრულყოფილი რეალიზების შესაძლებლობა. გამოწვევები უკავშირდება შრომით უფლებებს, საბინაო სფეროში არსებულ ბარიერებს, ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის შეუძლებლობას ან/და გართულებულ სარგებლობას, გამოწვევებს განათლების სფეროში, ეკონომიკურ რესურსებზე გართულებულ წვდომას და სხვ. ამ გამოწვევების კომბინაცია კი თემის წარმომადგენლებს მძაფრი პრობლემებისა და, რიგ შემთხვევებში, ეგზისტენციალური საფრთხეების წინაშე აყენებს.

პრობლემის სიმძაფრეზე მეტყველებს ისიც, რომ ლგბტ+ თემის წევრების მხრიდან სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანმრთელობის უფლებების დაცვის საკითხებზე მომართვიანობა დაბალია, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მოსალოდნელ უარყოფით შედეგებთან. მაგალითად, შრომის უფლებების დარღვევაზე ღიად საუბარმა ლგბტ+ თემის წევრს, შესაძლოა, სრულად მოუსპოს იმავე/მსგავს სფეროში დასაქმების შესაძლებლობა. ისედაც მძიმე ვითარება კოვიდ პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა და სამუშაოს დაკარგვისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ზოგიერთ შემთხვევაში, თემის წევრები იძულებული გახადა ძალადობრივ გარემოს დაბრუნებოდნენ ან/და საერთოდ უსახლკაროდ დარჩენის პირისპირ აღმოჩენილიყვნენ.

საყურადღებოა, ასევე, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხი, მათ შორის ის, რომ გარკვეული მედიკამენტები თუ ჰორმონალური მკურნალობა არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში; არც სპეციალური პროგრამა არსებობს, რომელიც მორგებული იქნებოდა ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკურ საჭიროებზე. გამოწვევებია განათლების მიღების უფლების თვალსაზრისითაც როგორც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ისე უმაღლესი განათლების მიღების კუთხით.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, სწრაფად გადადგას რეალური ნაბიჯები, მათ შორის, ლგბტ თემის წარმომადგენლებთან/აქტივისტებთან/უფლებადამცველებთან აქტიური თანამშრომლობით, რომელიც ხელს შეუწყობს თემის საჭიროებების გათვალისწინებას, მეტ ინკლუზიას და სოციალური და ეკონომიკური უფლებების სათანადო დაცვასა და განხორციელებას.

# 7. უთანასწორობა სოციალური დაცვის სისტემაში

სოციალური დაცვის სისტემაში უთანასწორობა არაერთი მიმართულებით იკვეთება. ამ საანგარიშო პერიოდში პრობლემურად გამოიკვეთა ე.წ. სოციალური სესხით სარგებლობის საკითხი - სს „ლიბერთი ბანკი" საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას სათანადოდ არ ითვალისწინებს სოციალური სესხების მომხმარებელთა განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ამ პირებს გაუმართლებლად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

ამასთანავე, თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამოდ შეფასდა პრაქტიკა, რომლის თანახმად, აკრძალულია ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება სახელმწიფოსგან (გარდა მცირე გამონაკლისი შემთხვევებისა), მათი დანიშნულების მიუხედავად.

## 7.1. დისკრიმინაცია საბანკო მომსახურებისას

კვლავ აქტუალურია დისკრიმინაციული პრაქტიკა საბანკო მომსახურების გაწევისას. საანგარიშო პერიოდში არახელსაყრელი მოპყრობა გამოიკვეთა ასაკისა და სოციალური სტატუსის საფუძველზე. ერთი მხრივ, გამოვლინდა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მთელი რიგი სასესხო პროდუქტების (სამომხმარებლო სესხი, განვადება, იპოთეკა) გაცემის კრიტერიუმად განსაზღვრავენ ასაკს (ძირითადად, 70 წელი), რომლის მიღმა, პირს ამგვარი პროდუქტების გაცემაზე შაბლონურად ეუბნებიან უარს. მეორე მხრივ, დისკრიმინაციულ შედეგებს იწვევს სს „ლიბერთი ბანკის" მიერ სოციალურ სესხებზე (ე.წ. „საპენსიო სესხები") დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა (30.69%).

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე აღიარებული ისეთი კონცეფციების მნიშვნელობაზე, როგორებიცაა *საზოგადოება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის* და *აქტიური დაბერება*[139], და აღნიშნავს, რომ დაუშვებელია მხოლოდ ასაკის საფუძველზე სასესხო განაცხადზე უარის თქმა, რამდენადაც, მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგება ხსენებულ მიზნებსა და თანასწორობის პრინციპს.[140] თითოეული აპლიკანტის ფინანსური მდგომარეობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, მომეტებული რისკი კონკრეტული მყარი მონაცემებით უნდა დასტურდებოდეს და არ უნდა ეფუძნებოდეს მცდარ წარმოდგენებს, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანები ავტომატურად წყვეტენ შრომით, ეკონომიკურ თუ სხვა საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

ამავე დროს, რისკების დაზღვევის მიზნით გამოყენებული პირობები იმგვარად არ უნდა ამძიმებდეს მომხმარებელთა მდგომარეობას, როგორც ეს სს „ლიბერთი ბანკის" მიერ სოციალურ სესხებზე დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობის შედეგად ვლინდება.[141]

---

[139] იხ. ხანდაზმულთა საკითხებზე მსოფლიოს მეორე ასამბლეის პოლიტიკური დეკლარაცია, მუხ. 1, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/lkyhrh; აქტიური დაბერება, პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/5gxlqg; „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება (№5146-IIს).
[140] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 აგვისტოს ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2z8xyy
[141] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 დეკემბერის ზოგადი წინადადება https://bit.ly/3HxjGV8

სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სოციალური სესხების მომხმარებლები იმ ფულადი გასაცემლების მიმღები პირები არიან, რომელთა ძირითადი დანიშნულება ბენეფიციარების ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და მათი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფაა (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, ფულადი სახის სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა, დევნილთა სტატუსის მქონე პირთა შემწეობა და სხვ.).[142] ამასთანავე, სესხი სწორედ კლიენტის ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული სოციალური სარგოს თანხიდან იფარება.[143] შესაბამისად, წლიური საპროცენტო განაკვეთის დადგენილი ოდენობის შედეგად, სოციალური სესხის მომხმარებლებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათი საარსებო საშუალებებისთვის გამიზნული სახელმწიფო გასაცემლების არცთუ მცირე ნაწილით უწევთ სესხის დაფარვა. ხოლო, სესხის ვადის განმავლობაში ჯამურად გადასახდელი თანხა (ძირი და პროცენტი) სესხის სახით მიღებულ თანხას დაახლოებით 75%-ით აღემატება.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მომსახურების გამწევი ბანკის მხრიდან მის მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის პრაქტიკა, მათი გამოთვლისას გათვალისწინებული ფაქტორების სტანდარტულია და ამ პროცესში მხედველობაში არ მიიღება სოციალური სესხისა და სხვა სესხების მომხმარებელთა განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მაშინ, როდესაც უფლება, არ იყო დისკრიმინირებული, ირღვევა, მათ შორის, მაშინ, როდესაც, ლეგიტიმური მიზნისა და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობიან ადამიანებს, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებულია.[144]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ აუცილებელია გადადგას ქმედითი ნაბიჯები იმისათვის, რათა საბანკო სერვისების მიწოდების პროცესში აღმოიფხვრას ასაკის, როგორც მომსახურების გაწევაზე ცალსახად უარის თქმის საფუძვლის, დადგენის პრაქტიკა. ამასთანავე, ამგვარი პრაქტიკის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლები სოციალურ სესხებს, ძირითადად, იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების შესაძენად იყენებენ, რომელთათვისაც სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემელი საკმარისი არ არის (მედიკამენტები, შეშა, სურსათი და სხვა საარსებო საშუალებები),[145] ამ კუთხით გამოვლენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად გატარებულმა ღონისძიებებმა, შედეგად, არ უნდა შეზღუდოს სოციალურ სესხებზე ხელმისაწვდომობა. საჭიროა საპროცენტო განაკვეთის ოდენობის შემცირების ხელის შემშლელი მიზეზების სიღრმისეულად შესწავლა და გამოვლენილი საფუძვლების აღმოსაფხვრელად, სპეციალური დებულებების შეტანა საბანკო მომსახურების პირობებში, რომლებიც სახელმწიფო გასაცემლების დარიგებას/გაცემას ეხება.[146]

---

[142] სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობები, პუნ. 1.1.27, 1.1.1, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/nyoa3j
[143] იქვე, პუნ. 11.20.
[144] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: *THLIMMENOS v. GREECE*, პარა. 44.
[145] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://rb.gy/nrib84; https://rb.gy/8gga4g; https://rb.gy/giqpsr
[146] იხ. „ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №1290 განკარგულება.

## 7.2 სოციალური დახმარებისა და საპენსიო გადანაწილების სისტემა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო სოციალური გასაცემლების პოლიტიკის თანასწორობის უფლებასთან შესაბამისობა.[147] ამ საკითხის შესწავლის პროცესში საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დისკრიმინაციულია პრაქტიკა, რომლითაც აკრძალულია ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება სახელმწიფოსგან (გარდა მცირე გამონაკლისი შემთხვევებისა). ამგვარი ზოგადი წესებით, არ მიიღწევა სოციალური პაკეტების მიზნები, და მათში არც დაუცველი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებებია გათვალისწინებული.

ამ ზოგადი წესის თანასწორობის უფლებასთან წინააღმდეგობა საქართველოს სახალხო დამცველმა ორ კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით დაადგინა. კერძოდ, პრობლემურია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიმართ მოქმედი წესი, რომლის თანახმად, პირს საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღება არ შეუძლია, თუკი იგი მეორე ქვეყნისგან იღებს პენსიას. საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ რაიმე ტიპის სოციალური პაკეტის მოთხოვნის შემთხვევაში წარსადგენ დოკუმენტებს შორისაა ცნობა იმის შესახებ, რომ შესაბამისი პირი არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.[148]

მეორე შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველმა გაუმართლებელ შეზღუდვად მიიჩნია მოწესრიგება, რომლის თანახმად, ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის აკრძალულია ორი ან მეტი სოციალური გასაცემლის ერთდროულად მიღება. თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ნათელია, რომ სოციალური გასაცემლების პოლიტიკა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ფინანსურ რესურსებზე და მათი განაწილების ეტაპზე, პრიორიტეტების განსაზღვრაში ხელისუფლებას მიხედულების ფართო ფარგლები აქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სოციალური გასაცემლის განაწილების ლოგიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს თანასწორობის პრინციპს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას ზოგადი წინადადებით მიმართა[149] და მოუწოდა, გადახედოს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" №279 დადგენილებით განსაზღვრულ წესებს და მოქალაქეთა ინტერესებს მოარგოს ისინი.

---

[147] მსგავს თემატიკაზე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2020, 24-26, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IeAr8G

[148] საქართველოს მთავრობის 279-ე დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ", მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი).

[149] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 4 აგვისტოს ზოგადი წინადადება საქართველოს მთავრობას, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xVuRTW

# 8. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და საქმიანობის შესრულებისას

2021 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები ჩატარდა, რამაც წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების საგანგაშო ტენდენცია კიდევ ერთხელ გამოკვეთა. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით შრომითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ათეულობით საქმეზე დაიწყო მოკვლევა.

ასევე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა დისკრიმინაცია პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირების (Platform Workers), კერძოდ, „ბოლტის" კურიერების მიმართ, რომლებსაც კომპანიამ, საპროტესტო აქციის გამართვისა და პროფკავშირის შექმნის გამო, უვადოდ შეუზღუდა „ბოლტის" აპლიკაციაზე წვდომა და მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა.

პრობლემური იყო ასევე სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, როდესაც დასაქმებული მაღაროელი შრომის უსაფრთხოების შესახებ წესების არასათანადო დაცვას აპროტესტებდა, განსაკუთრებით, შრომის ინსპექციის დასკვნის ფონზე, რომელიც განმცხადებლის მიერ დასახელებული პრობლემების არსებობას ადასტურებდა.

## 8.1. პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში წინასაარჩევნო პერიოდში

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა აქტიური ზედამხედველობა გაუწია წინასაარჩევნო პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და ათობით პირის სავარაუდო პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურებიდან გათავისუფლების საქმეები შეისწავლა. საქმეები ისეთი სახის შრომით უფლებადარღვევებს ეხებოდა, როგორიცაა დისკრიმინაციული მოტივით ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების წარდგენის მოთხოვნა და სამსახურიდან გათავისუფლება.

არასახარბიელო მოპყრობის მიზეზად, განმცხადებლები, ძირითადად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან ნათესაურ, მეგობრულ თუ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ასახელებდნენ. მათ შორის, ნაწილი არასახარბიელო მოპყრობას სოციალურ ქსელებში პარტიის ლიდერის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების თუ კომენტარების განთავსება/გაზიარებას/მოწონებას უკავშირებდა. საყურადღებოა ისიც, რომ განმცხადებლები უმეტესად ასოციაციით დისკრიმინაციაზე მიუთითებენ, ვინაიდან მათი უფლებების შეზღუდვა, სავარაუდოდ, მათი ოჯახის წევრის ან მათთან კავშირში მყოფი პირის პოლიტიკურ შეხედულებას ანდა საქმიანობას მოჰყვა.[150]

[150] შენიშვნა: ასოციაციით დისკრიმინაცია პირდაპირი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახეა, რომლის დროსაც, დაცული ნიშანი, ანუ საფუძველი, რის გამოც თანაბარ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს არათანაბრად (უსამართლოდ, არასახარბიელოდ) ეპყრობიან, უშუალოდ მსხვერპლს არ აქვს, არამედ იმ პირს აქვს, რომელთანაც მსხვერპლი ასოცირდება.

აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში უფლებადარღვევებს ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში, მუნიციპალურ სამსახურებსა და ადგილობრივი თვითმართველობების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებში. ასევე გამოვლინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაც; ნიშანდობლივია განათლების სფეროში პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო შევიწროების საქმეც, რაც გამოიხატა შიდა აუდიტის დაინტერესებაში, მოკვლევა დაეწყო რესურსცენტრის დირექტორის მიერ ჩადენილი სავარაუდო დარღვევების აღმოსაჩენად. აუდიტის მოკვლევის შედეგების შემდეგ კი, განმცხადებელი გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან, რასაც ის მის სწორედ მის ოპოზიციონერი კანდიდატის მხარდამჭერად აღქმას და იმ ფაქტს უკავშირებდა, რომ სახელისუფლებო კანდიდატის მხარდაჭერაში აქტიურად არ მონაწილეობდა.

სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაცია ასევე მიანიშნებს, რომ გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერის მოთხოვნა უშუალოდ მომდინარეობდა ზემდგომი პირებიდან ან/და განმცხადებლებს სხვა პირის მეშვეობით აცნობებდნენ, რომ სამსახურიდან უნდა წასულიყვნენ, რასაც ნაწილი დათანხმდა, ნაწილი კი - არა, რის შემდგომაც ისინი სხვა საფუძვლებით გათავისუფლდნენ.

სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენას აბრკოლებს მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით არსებული სირთულეები. დისკრიმინაციული მოტივები, ხშირად, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციისას მჟღავნდება, ხოლო მოპასუხეები, რა თქმა უნდა, უარყოფენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე მოთხოვნას; თუმცა, საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლა ეჭვს იწვევს უვადოდ დასაქმებული პირის ან/და ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების გაგრძელებაზე მხოლოდ ერთ დასაქმებულს ეთქვა უარი, მაშინ როდესაც მოპასუხე ადასტურებს სხვა პირებთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა, პოლიტიკური შეხედულების ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ასევე მიმართა რეკომენდაციით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. გამოიკვეთა, რომ განმცხადებელს, რომელიც სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორის პოზიციას იკავებდა, უარი ეთქვა განმეორებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე, რაც მისი მეუღლისა და შვილის ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი პოლიტიკური აქტივობით იყო განპირობებული. სახალხო დამცველის შეფასებით, საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიზებისა და პირთა შესაძლო დისკრიმინაციული საფუძვლით გათავისუფლების მომატებული რისკის გათვალისწინებით, ეჭვს იწვევდა, რომ განმცხადებლის დაკავებულ თანამდებობაზე განმეორებით არდანიშვნა დროში დაემთხვა მეუღლისა და შვილის პოლიტიკურ აქტიურობას. ამასთანავე, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა რეალური საფუძველი, რომელიც, სამინისტროს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ხელმეორედ დანიშვნაზე უარს გაამართლებდა.[151]

[151] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მიხეილ ჩხენკელს, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ETW2jDs

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა[152], ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სხვა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს - *არ დაუშვან პოლიტიკური შეხედულებების გამო თანამშრომელთა დისკრიმინაცია და სამსახურიდან გათავისუფლება, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემასა და საბავშვო ბაღებში დასაქმებული პირების დაცვას პოლიტიკური ზეწოლის, დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან. ასევე, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა, დროულად გამოიკვლიონ სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დევნის ზემოთ განხილული ფაქტების შესახებ და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.*

## 8.2. რისკის შემცველ საქმიანობაში გამოვლენილი დისკრიმინაცია

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, შრომით ურთიერთობებში, დამსაქმებლის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციის ყველაზე ხშირი მიზეზი, კვლავ განსხვავებული მოსაზრება იყო.

სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა დისკრიმინაცია პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირების, კერძოდ, „ბოლტის" (Bolt Food) კურიერების მიმართ და დაადასტურა, რომ კურიერებს კომპანია განსხვავებული მოსაზრების გამო ექცეოდა დისკრიმინაციულად.[153] მარტში „ბოლტის" კურიერებმა პროტესტის ნიშნად მუშაობა შეაჩერეს, დემონსტრაცია გამართეს და სხვა საკითხებთან ერთად, ტარიფების გაზრდა და საბონუსე სისტემის გადახედვა მოითხოვეს. ამის საპასუხოდ, კომპანიამ, აპლიკაციის დაბლოკვის გზით, მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა.

კომპანია „ბოლტმა" სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ კურიერებთან სამართლებრივი ურთიერთობა არა შრომითი, არამედ საპარტნიორო ხელშეკრულებით რეგულირდებოდა და „პარტნიორი კურიერები პლატფორმიდან დაიბლოკნენ არა პროტესტის გამოხატვის, არამედ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობის გამო, რითიც ხელი შეუშალეს Bolt Food-ის და პარტნიორი რესტორნების საქმიანობას. კურიერებისთვის პლატფორმის კომპანიების მიერ მინიჭებული „პარტნიორის" სტატუსის მიუხედავად, სახალხო დამცველმა იხელმძღვანელა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებულ უახლეს სტანდარტებზე დაყრდნობით და დაადგინა, რომ პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირები, კომპანიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები არიან და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ მათ შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე, შრომითი გარანტიებით სარგებლობის უფლება აქვთ. სახალხო დამცველის გადაწყვეტილება პრეცედენტულია იმ მხრივაც, რომ ის დაცვის მნიშვნელოვან ეროვნულ სტანდარტს ქმნის არა მხოლოდ „ბოლტის" კურიერებისთვის, არამედ, ყველა ე.წ. პლატფორმის მუშაკისთვის.

[152] დამატებით იხ. https://cutt.ly/cTWKFsN ; https://cutt.ly/gTEqsWK
[153] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 14 ივნისის რეკომენდაცია შპს „ფუდლის" (Bolt Food) დირექტორს, ბ. პ.-ს, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/nTIDlES

კურიერები თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და, მათი ფუნქციების გათვალისწინებით, Bolt Food-ის სერვისის ღერძი სწორედ ისინი არიან. ამდენად, კომპანიამ განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს და არ უნდა განახორციელოს არაკანონიერი და არაპროპორციული ღონისძიებები დასაქმებულების მიმართ. შესაბამისად, სახალხო დამცველმა „ბოლტს" მოუწოდა, დაუყოვნებლივ აღუდგინოს კურიერებს აპლიკაციაზე წვდომა; ასევე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით დადგენილი სტანდარტი გაავრცელა ყველა იმ კურიერის მიმართ, რომელსაც, პროტესტის გამოხატვის გამო შეუჩერდა აპლიკაციაზე წვდომა, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველისთვის არ მოუმართავს.

პრობლემური იყო ასევე შემთხვევა, როდესაც შპს „შუქრუთი +"-მა დასაქმებული მაღაროელი სამსახურიდან გაათავისუფლა იმის გამო, რომ მან კომპანიას მიმართა თხოვნით, სამუშაო სივრცეში აღმოფხვრილიყო შრომის უსაფრთხოების სტანდარტებთან არსებული შეუსაბამობები, განმცხადებელმა თავის უშუალო ხელმძღვანელთან ასევე აღნიშნა, ხშირად, საკვები უვარგისი იყო, საშხაპეებში კი, არ იყო დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. შპს „შუქრუთი +"-ის ადმინისტრაციამ განმცხადებელს მოსთხოვა, არ ესაუბრა პრობლემების შესახებ და შესაბამის უწყებებს არ დაკავშირებოდა. საქმის შესწავლისას, სახალხო დამცველი დაეყრდნო შრომის ინსპექციის დასკვნას, რომელიც შრომითი უსაფრთხოების მიმართულებით პრობლემების არსებობას ადასტურებდა, და რომლის თანახმადაც, განმცხადებლის წუხილები რეალური იყო და არა სუბიექტურად აღქმული, ხოლო მოპასუხის რეაგირება - არასათანადო. შრომის ინსპექტირების შედეგები ადასტურებდა, რომ სამუშაო სივრცეში არაერთი ტიპის პრობლემა იყო. პრობლემათა ჩამონათვალი დასკვნაში არათუ სრულად იყო გადმოცემული, არამედ აღემატებოდა კიდეც განმცხადებლების მიერ დასახელებული პრობლემების რაოდენობასა და სიმძაფრეს. მოპასუხემ კი, გარდა იმისა, რომ ვერ გააქარწყლა დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის ვარაუდი, ვერც ის მასალები წარმოადგინა, რომლებიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებელი ხშირად არღვევდა შინაგანაწესს ან/და უსაფრთხოების ნორმებს.[154]

სამწუხაროდ, პროტესტის ანდა განსხვავებული შეხედულების გამოხატვის გამო თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება, შევიწროება ან შრომითი უფლებების სხვაგვარი დარღვევა გავრცელებული პრაქტიკაა როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორში. დასაქმებულთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ეფექტიანად აღსრულდეს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა, ასევე, დამსაქმებლებმა გაატარონ თანასწორობის პოლიტიკა.

## 8.3. შრომის ინსპექციის მანდატი სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით

2021 წლის 1 იანვრიდან, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური (შემდგომში: შრომის ინსპექცია) განისაზღვრა შრომითი უფლებების, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის" აღსრულებასა და მათი ეფექტიანი გამო-

[154] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბერის რეკომენდაცია შპს „შუქრუთი +"-ს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ksb1Wp

ყენების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ ორგანოდ, რომელსაც დამსაქმებლისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება ენიჭება. აღნიშნული მანდატის ფარგლებში, შრომის ინსპექციის ზედამხედველობის ქვეშ ექცევა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების დაცვის კონტროლიც, რომელიც ხორციელდება როგორც დაინტერესებული პირის მიმართვის, ისე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველისთვის, მნიშვნელოვანი იყო, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დასაქმების ადგილზე თანასწორუფლებიანობის მდგომარეობის შესამოწმებლად, შრომის ინსპექციის მუშაობის ერთწლიანი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება.

შრომის ინსპექციის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[155] ინსპექციამ დისკრიმინაციის სულ 21 საქმე განიხილა, საიდანაც 9 საჩივარი დაინტერესებულმა პირებმა წარადგინეს, ხოლო 12 საქმეზე ინსპექციამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო შემოწმება. აქედან 15 საქმეზე შრომის ინსპექციამ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი და შეადგინა შესაბამისი ოქმი, ხოლო 5 საქმეზე მიმდინარეობს ინსპექტირება.

ამ 15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ანალიზის საფუძველზე შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა: საქმეთა დიდი უმრავლესობა, რომლებზეც დისკრიმინაცია დადგინდა, წინასახელშეკრულებო ეტაპს და დისკრიმინაციული ვაკანსიების *(სქესის, ასაკის, გარეგნობის ნიშნით)* შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხებს შეეხება. გამოიკვეთა, რომ დისკრიმინაციულ ვაკანსიებზე მსჯელობისას, რიგ შემთხვევაში, შრომის ინსპექცია მსჯელობს მხოლოდ *ასაკის* კრიტერიუმზე, თუმცა, უგულებელყოფილია *სქესის* კრიტერიუმი. მნიშვნელოვანია ყველა დისკრიმინაციულ კრიტერიუმზე თანაბრად გამახვილდეს ყურადღება, რადგან საქმის მხოლოდ ნაწილობრივმა გადაწყვეტამ, შესაძლოა, დამსაქმებელს აფიქრებინოს, რომ კონკრეტულ პოზიციაზე *(მაგალითად: მძღოლი, მუშა-მტვირთავი, დურგალი, საწყობის თანამშრომელი)* სქესის მითითება გამართლებული იყო, რაც მომავალში კვლავ შეუწყობს ხელს დისკრიმინაციული ვაკანსიების გავრცელებას. ასევე არსებითია, შრომის ინსპექცია პირდაპირ მოუწოდებდეს კომპანიას, დაუყოვნებლივ ამოიღოს დისკრიმინაციული კრიტერიუმი ვაკანსიის განცხადებიდან, მით უმეტეს, რომ ამგვარი პრაქტიკა მათი მხრიდან უკვე არსებობს და მნიშვნელოვანია, რომ ეს მითითება თანაბრად გამოიყენებოდეს ყველა კომპანიის მიმართ.

სხვა საქმეებში, შრომის ინსპექციამ შეამოწმა, არის თუ არა ასახული დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები კომპანიის შინაგანაწესში და რამდენად ასრულებს მათ კომპანია. საგულისხმოა, რომ სამ შემთხვევაში შრომის ინსპექციამ მიიჩნია, რომ კომპანია ვალდებულია ანტიდისკრიმინაციული დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, უზრუნველყოს მისი გაცნობა კომპანიის თანამშრომლებისთვის და იზრუნოს მის ეფექტიან აღსრულებაზე. ასევე, ინსპექციამ კომპანიებს მოუწოდა, დანერგონ ქმედითი მექანიზმები სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული შინაარსის ქმედებების თავიდან ასაცილებლად და პირთა მიმართ არათანაბარი მოპყრობის აღმოსაფხვრელად.

[155] შენიშვნა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2021 წლის 19 ნოემბრის წერილი №09/3301; მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან - 2021 წლის 19 ნოემბრამდე პერიოდს.

გარდა ამისა, ინსპექციამ კომპანიებს მიმართა, წაახალისონ დასაქმებულთა შორის ურთიერთობის იმგვარი ფორმა, რომელიც კოლეგიალობის პრინციპის დაცვით, ხელს შეუწყობს ღირსეული გარემოს ჩამოყალიბებას.

საყურადღებოა, რომ ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციის ჩამდენ კომპანიებს ადმინისტრაციულ სახდელად *გაფრთხილება* მიეცა, შრომის ინსპექციას არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია ფულადი ჯარიმა ან სხვა სახის სახდელი. გარდა ამისა, დარღვევის გამოსასწორებლად კომპანიებს 30-დღიანი ვადა მიეცათ, თუმცა, სახალხო დამცველისთვის უცნობია, რა ვადაში და რამდენად ეფექტიანად შეასრულეს დამსაქმებლებმა შრომის ინსპექციის მითითებები.

სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების ეფექტიანად აღსასრულებლად, სახალხო დამცველი პრიორიტეტულად მიიჩნევს შრომის ინსპექტორების მუდმივ და უწყვეტ გადამზადებას უახლესი საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის, დისკრიმინაციის ფორმების, დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტების გამოვლენის, დადგენის წინაპირობების, ფაქტის მოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების, მტკიცების ტვირთის გადანაწილების და დისკრიმინაციის მსხვერპლებთან კომუნიკაციის შესახებ.

## 8.4. კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის საქმიანობის შეზღუდვა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა მედიის წარმომადგენელთათვის საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევები, რაც გამოიხატა კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო უწყებების მხრიდან ორგანიზებულ ბრიფინგებსა თუ მუნიციპალურ ღონისძიებებზე დასწრების უფლების შეზღუდვასა და ჟურნალისტთა შერჩევითი პრინციპით მიწვევაში.

2021 წლის 8 დეკემბერს კულტურის მინისტრის მიერ თეატრების ხელმძღვანელების დანიშვნასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე[156], ტელეკომპანია „TV პირველის" წარმომადგენლები არ შეუშვეს.[157] ჟურნალისტის განმარტებით, ბრიფინგზე მოხვდნენ მხოლოდ იმ მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც წინასწარ გადაცემულ სიაში ჰყავდათ შეყვანილი.[158] მოგვიანებით, კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა შეზღუდვის მიზეზის შესახებ ჟურნალისტის შეკითხვაზე განაცხადა, რომ ის არის არა კრიტიკული, არამედ „აღვირახსნილი" მედიის წარმომადგენელი.[159] აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ტელეკომპანია „მთავარი არხისა" და „TV პირველის" ჟურნალისტები არც 22 ნოემბერს შეუშვეს.[160]

[156] კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, 3 სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დაინიშნა, ხოლო 4 თეატრში ამ პოზიციებზე კონკურსი გამოცხადდა; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GyVh17
[157] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31Idhqv
[158] კულტურის სამინისტროში ჟურნალისტების ნაწილი ბრინფინგზე ისევ არ შეუშვეს; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DGduro
[159] „თქვენ ხართ აღვირახსნილები" - კულტურის მინისტრი „ტვ პირველის" ჟურნალისტს მიმართავს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31KHqWt
[160] კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს შეწყვიტოს ჟურნალისტთა დისკრიმინაცია, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pDQTa1

ცალკეული მედიასაშუალებების მიმართ კონკრეტული ზომების მიღებაზე განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემაც 2021 წლის 9 დეკემბერს, თბილისის მერიის შენობაში გამართულ ბრიფინგზე.[161] სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, მათ შორის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ ღონისძიებაზე ჟურნალისტთა შერჩევითი პრინციპით მიწვევის ფაქტების შესახებაც.

საგულისხმოა, რომ მედიას განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, გაავრცელოს საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცია და ხელი შეუწყოს ინფორმირებულ საჯარო დებატებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობის აუცილებელი წინაპირობაა. თავის მხრივ, ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების უფლებასთან, მიიღოს მსგავსი სახის ინფორმაცია, რაც წარმოშობს ხელისუფლების ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმს.

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის კრიტიკული მედიის არსებობა აუცილებელი პირობაა. საზოგადოების თვითგამორკვევის უფლება, სწორედ, კრიტიკული მედიის გამოყენებაზე გადის, რომლის შეზღუდვის შემთხვევაშიც პრობლემა ექმნება თავად დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის იდეასაც. დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი კანონის წინაშე თანასწორობაა, რაც თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც საზოგადოების, ისე მედიის წარმომადგენლების მიმართაც. ცალკეული მედიასაშუალებების ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა იმ საფუძვლით, რომ ისინი წარმოადგენენ კრიტიკულ მედიას, წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობის იდეასთან და კრიტიკულად განწყობილ მედიას, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ მედიასთან შედარებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ამით კი, საფრთხეს ექმნება თანასწორობის პოლიტიკასაც და ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებსაც.

[161] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33g3x7N

# 9. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. სახალხო დამცველმა, სახელმწიფო უწყებებს, თანასწორობის უფლების დასაცავად და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, არაერთხელ მოუწოდა ერთიანი ხედვისა და პოლიტიკის შექმნისკენ, ასევე, თანასწორობის მხარდამჭერი საჯარო განცხადებების გავრცელებისკენ. თუმცა, პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის მიმართ წლიდან წლამდე გამოთქმული დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების სიმრავლე მოწმობს, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები სტერეოტიპული განწყობების შემცირების გზით, სხვადასხვა ჯგუფების თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემო უფრო მეტად შესამჩნევია ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ლგბტ+ თემის მიმართ.

სამწუხაროდ, წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით აქტიურად შეინიშნება საარჩევნო სუბიექტების მხრიდან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ადამიანთა დისკრიმინაციის წახალისება და სიძულვილის ენის გამოყენება, მათ შორის, ქსენოფობიურ, რელიგიურ, ჰომოფობიურ ნიადაგზე. ამის თავიდან ასაცილებლად, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებისას, სახალხო დამცველმა პოლიტიკურ სუბიექტებსა და მათ აქტივისტებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ თავიანთ პროგრამებსა და კამპანიებში დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოყენებისგან და იმგვარი იდეების გაჟღერებისა თუ მხარდაჭერისგან, რომლებიც ამა თუ იმ საფუძვლით ადამიანთა ჯგუფების უპირატესობას აღიარებს. ამასთანავე, მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, არ მიემართათ არადომინანტური ჯგუფების მარგინალიზაციისთვის; გამოეჩინათ პასუხისმგებლობა და სამართლიანობა მგრძნობიარე თემებზე საუბრისას, უმცირესობების სტიგმატიზების თავიდან ასაცილებლად.[162]

## 9.1. სქესის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება

ბოლო დროს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახამად, ქალების წინააღმდეგ ოპონირებისას ცალკეული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისა თუ საჯარო პირების მხრიდან აქტიურად გამოიყენება შეურაცხმყოფელი, თუ სექსისტური სტერეოტიპების შემცველი გამონათქვამები. ძირითად შემთხვევებში, სექსისტური გამონათქვამები სექსუალური კონოტაციის მქონე, ანდა ქალისა და მამაკაცისათვის განსაზღვრული გენდერული როლების გამაძლიერებელია. აღსანიშნავია, რომ სექსისტური გამონათქვამები ზრდის ქალების უთანასწორო მოპყრობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ახალისებს სექსუალური შევიწროების შემთხვევებს და ქმნის ბარიერებს კარიერული წინსვლისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების დაკავებისას.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული სტერეოტიპების წახალისების ჭრილში, განსაკუთრებით მწვავე იყო 2021 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის შენობაში გა-

[162] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 3 აგვისტოს განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xOkCAU

ნვითარებული მოვლენები.[163] პარლამენტის სხდომათა დარბაზში 5 ივლისს მომხდარ ფაქტებზე პროტესტის გამოხატვის დროს, „ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ნონა მამულაშვილი, ლექსო ლაშქარავას გამოსახულებიანი პლაკატით საკუთარ მაგიდაზე ავიდა. ოპოზიციონერი დეპუტატის ამ ქცევას უმრავლესობის წევრების უკმაყოფილება მოჰყვა. დეპუტატებმა მამულაშვილს ჯერ მაგიდიდან ჩამოსვლისკენ მოუწოდეს, შემდეგ კი ირაკლი ზარქუამ იგი იძულებით ჩამოსვა[164] მაგიდიდან. იმავე სხდომაზე თინათინ ბოკუჩავა შალვა პაპუაშვილმა სპიკერისთვის განკუთვნილი ტრიბუნიდან ფიზიკური ძალის[165] გამოყენებით გაიყვანა. შალვა პაპაუაშვილის მხრიდან თინათინ ბოკუჩავას ძალის გამოყენებით გაყვანის ფაქტს „ქართული ოცნების" დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი სექსისტური შინაარსით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „პაპუაშვილმა ბოკუჩავას ისტერიის განეიტრალება მოახერხა".[166] მოგვიანებით, იმავე დღეს, ლევან მგალობლიშვილმა თინათინ ბოკუჩავას მიმართ მიზანმიმართულად სექსუალური შინაარსის მიმართვა გამოიყენა: „თინა, ჩემო სიცოცხლე".

კაცი დეპუტატების მხრიდან ოპონენტი ქალების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებით განეიტრალების მცდელობა განსაკუთრებით საგანგაშო პრეცედენტია, რამდენადაც, აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი არის არა პროცესების შემოქმედი და/ან თანამონაწილე, არამედ ობიექტი, უსულო საგანი, რომელსაც შეიძლება, მამაკაცმა მისი ნებისა და ღირსების სრული უგულებელყოფით მიუჩინოს ადგილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსმა ქმედებებმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ქალთა თანასწორობასა და პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობა, ისევე როგორც პოლიტიკაში მათი ჩართულობა, ქვეყნის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მსგავსი ქცევა მით უფრო შემაშფოთებელია, როდესაც იგი მომდინარეობს პარლამენტის დეპუტატის მხრიდან, რომლის მიმართაც საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ იზრუნებს ქვეყანაში ქალთა გაძლიერების, გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში თინათინ ბოკუჩავასა და შალვა პაპუაშვილს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს არაეფექტიანი რეაგირება. ინციდენტის შესწავლის შედეგად საბჭომ მიიჩნია, რომ იგი არ შეიცავდა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ნიშნებს. საბჭოს წევრების შეფასებით, თინათინ ბოკუჩავას ადგილას კაცი დეპუტატი რომ ყოფილიყო, მის მიმართაც იქნებოდა გამოყენებული მსგავსი ქმედება. ამასთანავე, საბჭომ დეპუტატების პროტესტის ფორმა პარლამენტისა და ქვეყნის საპარლამენტო ისტორიის შეურაცხყოფად შეაფასა,

[163] საქართველოს პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის სიტყვით გამოსვლისას, მედიის წარმომადგენლებმა და ოპოზიციონერმა დეპუტატებმა სხდომათა დარბაზში „TV პირველის" გარდაცვლილი ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას ფოტოები და პლაკატები გამოფინეს და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა მოითხოვეს. ოპოზიციისა და ჟურნალისტების პროტესტს, უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.
[164] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dhw7Y1
[165] ინციდენტს წინ უსწრებდა „ქართული ოცნების" დეპუტატის, ლევან მგალობლიშვილის მხრიდან თინათინ ბოკუჩავასთვის საპროტესტო ბანერის ძალის გამოყენებით წართმევა. რის შემდეგაც ფაქტზე რეაგირებისთვის თინათინ ბოკუჩავა გაემართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისკენ, „ქართული ოცნების" დეპუტატმა შალვა პაპუაშვილმა ამ დროს სცადა შებოჭვით მისი შეჩერება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oif7Hy
[166] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Dl0sQe

ხოლო შალვა პაპუაშვილის ქცევა - საპარლამენტო საქმიანობის შეურაცხმყოფელი ქმედებების აღკვეთის მცდელობად.[167]

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროცესის ხელშესაწყობად და გასაუმჯობესებლად. საბჭოს წევრებმა უნდა იზრუნონ ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ასევე, ხელი შეუწყონ დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. ამის საპირისპიროდ, საბჭოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საბჭოს მიზნებს, ახალისებს ქალთა მიმართ უთანასწორო მოპყრობას და, სამომავლოდ, ქალთა უფლებების დარღვევაზე არაეფექტიანი რეაგირების საშიშ პრეცედენტს ქმნის.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, განსაკუთრებით ხშირი იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, მათ მიმართ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა. მაგალითად, გორის საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით რაზმაძემ საკრებულოს სხდომაზე მიმდინარე დებატებისას საკრებულოს დამოუკიდებელ წევრ ირმა ამბარდნიშვილს შემდეგი შინაარსის სიტყვებით მიმართა - „შენნაირ ქუჩის ქალს საკრებულოში რა უნდა“.[168] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში დავით რაზმაძე საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე იყო.[169] „თქვენი ქალები არ არიან? მოკიდეთ და წაიყვანეთ!“[170] - ამგვარი სექსისტური შინაარსის გამონათქვამი გამოიყენა უმრავლესობის დეპუტატმა ლევან მგალობლიშვილმა, როდესაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებს მათივე თანაპარტიელი ქალების საპარლამენტო ტრიბუნიდან გაყვანა მოსთხოვა. ქალების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას ადგილი ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის, ნიკა მელიას მხრიდანაც, თეა წულუკიანის გაკრიტიკებისას - „90-იანებში თითო საძმოს ჰყავდა თავისი ქალი წევრი, რომელიც ყველაფრის მკადრებელი იყო... ამ ქალბატონებს მახსენებს წულუკიანი“.[171]

ქალის გენდერულ როლთან დაკავშირებული სტერეოტიპების წახალისების კუთხით, სახალხო დამცველის ყურადღება მიიქცია ტელეკომპანია „პალიტრა ნიუსის“ გადაცემა „ლანჩ TIME-ში“ ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, სადაც მან აღნიშნა, რომ „ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა ცუდი შეიძლება არ არის, მაგრამ ქალის პირველი ამოცანაა ქვეყანას ნორმალური შვილები გაუზარდოს“.[172]

---

[167] გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმი №6, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pJhNh1; განსხვავებული აზრი დააფიქსირა საბჭოს წევრმა, დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა. საბჭოს სხვა წევრებისგან განსხვავებით, მისი შეფასებით, შალვა პაპუაშვილის ქმედება გენდერული ნიშნით ძალადობის, გამოვლინება იყო, რაც უკიდურესად შემაშფოთებელია.

[168] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lz62bv

[169] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 ოქტომბრის განკარგულება №189, „გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GaSgDL

[170] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IlvJWH

[171] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Gc5tMJ

[172] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31ifwRK

ამასთანავე, მსახიობმა ნინუცა მაყაშვილმა „რუსთავი 2-ის" ერთ-ერთ გადაცემაში – „ფარული კონვერტი", ისაუბრა ყოფილი მეუღლის მხრიდან შესაძლო ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ.[173] საზოგადოების დიდი ნაწილის სოლიდარობის მიუხედავად, არაერთი დისკრიმინაციული განცხადება გაკეთდა მის მიმართ, მათ შორის, საჯარო პირების მხრიდანაც. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას[174], პარლამენტის წევრის, ელისო ბოლქვაძისა[175] და სხვათა კომენტარები, ქალის ფინანსურ ინტერესსა თუ საჯაროდ დაგვიანებით საუბართან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ნაწილი კვლავ არ არის სოლიდარული ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ, ამ თემაზე ღიად საუბარი დიდ გამბედაობას და სიმამაცეს მოითხოვს. მსგავსი განცხადებები კი აკნინებს ძალადობის ფენომენის სერიოზულობას და მსხვერპლებს საზოგადოების მხარდაჭერისა და ძალადობისგან თავის დაღწევის რწმენას უკარგავს.[176]

## 9.2. ეთნიკური და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ყურადღება მიიქცია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელმა გამონათქვამებმაც. საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც ამავე დროს, იკავებს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციასაც, 2021 წლის 16 და 17 მაისს დმანისში ეთნიკურად ქართველ და აზერბაიჯანულ თემებს შორის მომხდარ კონფლიქტზე[177] საუბრისას განაცხადა, რომ დარწმუნებულია, საკითხი „ორ სახელმწიფოს შორის მეგობრულ ატმოსფეროში გადაწყდება".[178] პარლამენტის წევრის მიერ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის აზერბაიჯანის სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მოაზრება და საქართველოს მოქალაქეებად განუხილველობა, ახალისებს დომინანტი ჯგუფის მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას და მათ სოციალურ გარიყვას ახალისებს, ასევე აღვივებს დეზინტეგრაციულ პროცესს. ეთნიკური უმცირესობების მარგინალიზაცია ამცირებს მათ ქართულ საჯარო და პოლიტიკურ სივრცეებში ინტეგრაციას და აძლიერებს იმის განცდას, რომ ეს ჯგუფები არ წარმოადგენენ ქვეყნის შემადგენელ ნაწილს.

წინასაარჩევნო პერიოდში საყურადღებო იყო „ლეიბორისტული პარტიის" თბილისის მერობის კანდიდატის, მიხეილ ქუმსიშვილის მიერ გავრცელებული ვიდეო, სადაც

[173] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31ppAbt
[174] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31wtf7b
[175] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ditXYf
[176] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 16 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DkmCCa
[177] დმანისში დაპირისპირება 16 მაისს დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, ჩხუბი მაღაზიიდან პროდუქციის „ნისიად" გატანას უკავშირდებოდა. მეორედღეს, 17 მაისს, მხარეთა შორის დაპირისპირება კვლავ გაგრძელდა. ორ ჯგუფს შორის არსებული პოლიციის კორდონი რიგ შემთხვევებში გაირღვა და ათობით მოქალაქე ერთმანეთს ქვების სროლითა და ხელკეტებით დაუპირისპირდა. პარალელურად, ქალაქში დაიწყო საპოლიციო ძალების, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმებისა და წყლის ჭავლის მანქანების შეყვანა. საბოლოოდ, ორივე მხარის წარმომადგენლებმა, მოლაპარაკების შედეგად განაცხადეს, რომ ისინი შერიგდნენ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3onFA6F
[178] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EpcqJJ

მის კონკურენტ ნიგერიული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეს, არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუს, აშარჟებს. ვიდეოს დასაწყისში აღნიშნულია, რომ ხალხისთვის და, განსაკუთრებით, მედიისთვის, „საინტერესო აღმოჩნდა კანდიდატის ეგზოტიკურობა და არა შინაარსობრივი მხარე", შემდეგ კი შავად შეღებილი სახითა და ოგბუნუჯუს აქცენტის პაროდიით ამომრჩევლებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.[179] აღსანიშნავია, რომ ოგბუნუჯუ პირველი შავკანიანი ადამიანია, რომელიც საქართველოში არჩევნებზე კანდიდატად დარეგისტრირდა. მსგავსმა ვიდეორგოლებმა, შესაძლოა, სამომავლოდ დააბრკოლოს არადომინანტური რასობრივი ჯგუფების წარმომადგენლების პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა. ამასთანავე, წაახალისოს არადომინანტურ რასობრივ ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანების მიმართ ძალადობა, დისკრიმინაცია და გარიყვა.

მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაისისა და გაენათის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა, ლიტურგიისას ებრაელი ერი დამამცირებელ, ანტისემიტურ კონტექსტში რამდენჯერმე მოიხსენია. მან ებრაელ ერს „ქრისტიანთა მდევნელი" და „ურწმუნო მოდგმა" უწოდა.[180] მოგვიანებით, ქუთაისი-გაენათის ეპარქიის დეკანოზმა ილია კარკაძემ იოანე გამრეკელის დასაცავად წარმოთქმულ ქადაგებაში თავადაც გააკეთა ანტისემიტური შინაარსის განცხადებები.[181] აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ანტისემიტური მოსაზრებების გავრცელება საფრთხეს უქმნის ეთნიკურად ებრაელი ხალხის თანასწორუფლებიანობას და წარმოაჩენს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საზარელი დანაშაული - ჰოლოკოსტი და მისი გამომწვევი წინაპირობები სათანადოდ არ არის გააზრებული.[182] ანტისემიტიზმის ნებისმიერი გამოვლინება საფრთხის შემცველია როგორც თითოეული მოქალაქისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის.

## 9.3. სოგი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება

კვლავ გამოწვევად რჩება ჰომო/ტრანსფობიური გამონათქვამების საჯარო გავრცელება, მათ შორის, ოფიციალური პირების მიერ. საანგარიშო პერიოდში, ლგბტ+ ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების სიმრავლე განსაკუთრებით გაიზარდა „თბილისი პრაიდის" მიერ ორგანიზებული პრაიდის კვირეულის ფარგლებში. ამავე პერიოდში, აქტიურად შეინიშნებოდა მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, საკითხის პოლიტიკურ კონტექსტში გადატანის გზით, ირიბად პრაიდის კვირეულის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენის მცდელობა, ნაცვლად მხარდაჭერისა, რაც 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივ ქმედებებში აქტიურად გამოიხატა. პრაიდის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით, თბილისის მერმა კახა კალაძემ განმარტა, რომ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა პრაიდის კვირეულის გამართვა, რამდენადაც კონკრეტულ ჯგუფებს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, შესაძლოა, ეს არასწორად

[179] ვიდეო ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dhH1xa
[180] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ElJouL
[181] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=nz0WlcsBDXM&fbclid=IwAR1X4x1L_j2U_vYpAtaTGcpvVkMDkE9ru2bhXRoqqZOIszvqeqRoxVrscwY
[182] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 11 იანვრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Elv2dv

გამოეყენებინათ.[183] ორგანიზტორებს კვირეულის გამართვისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა ირაკლი კობახიძემაც.[184] საქართველოს პრემიერ - მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კი, ღირსების მარში სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრაიდის უკან „რევანშისტული და რადიკალური" პოლიტიკური ძალები იდგნენ.[185]

თემის წევრების უსაფრთხოების დაცვის გარანტად თავად თემის უფლებების შეზღუდვამ, ლგბტ+ ადამიანების უფლებების უპატივცემულობა, საჯარო სივრცის შეზღუდვა და მათ მიმართ ჰომოფობიური დამოკიდებულებებისა და განწყობების ზრდა გამოიწვია, ხოლო, 5-6 ივლისის ძალადობის დაშვებამ და შეწყნარებამ - ლგბტ+ თემის წევრების შევიწროება და ძალადობის წახალისება. მომდევნო დღეებში აქტიურად გამოვლინდა ჰომოფობიური და სექსისტური ძალადობის შემთხვევები[186], მათ შორის, თავდასხმა პოლონელ ტურისტზე[187], ჰომოფობიური ძალადობა გერმანელ დიჯეიზე[188], თავდასხმა და ძალადობის გახშირებული ფაქტები ტრანსგენდერ ქალზე.[189]

ლგბტ+ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციისა და ჰომოფობიური განწყობების წახალისების კუთხით განსაკუთრებით მწვავე იყო საბურთალოს მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ვატო შაქარაშვილის მიერ თავის ოფიციალურ ფეისბუქის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ვიდეო[190], სადაც მან 5 ივლისის მოვლენები შეაფასა, როგორც „უხეში მცდელობა, მოსახლეობას თავს მოახვიონ ქვეყნისთვის მიუღებელი კვდომის იდეოლოგია". ამასთანავე, იგი ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ დაიწყებს ხელმოწერების შეგროვებას, რათა ჩატარდეს სახალხო პლებისციტი ქვეყანაში ლგბტ+ პროპაგანდის აკრძალვის მოთხოვნით.

[183] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GdpqTu
[184] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3okL3ea
[185] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Gi8kE1
[186] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Il2uDF
[187] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31quDbh
[188] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dfZDh1
[189] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rD71v4
[190] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Gc6Fzx

# 10. გამოწვევები სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას

სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, გასული წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა, როგორც წესი, სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ ადამიანების მხრიდან.

მიმდინარე წელს განსაკუთრებით მწვავე იყო 5-6 ივლისს, ლგბტქ+ ორგანიზაციის - „თბილისი-პრაიდისა" და მისი მხარდამჭერების მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის" ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რასაც უფლებამოსილი უწყებების მხრიდან ეფექტიანი რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია. ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თავშია განხილული.

აღსანიშნავია, რომ ლგბტ+ ადამიანების მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ნაწილი, როგორც წესი, შეეხება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემის, თავდასხმისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს. განმცხადებლები ასევე მიუთითებენ, რომ, რიგ შემთხვევებში, შემთხვევის ადგილზე გამოძახებული სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები, კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, თავად იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას და მათ მიმართ გამოხატავდნენ აგრესიას, ჰომოფობიურ ნიადაგზე. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეებიდან ასევე იკვეთება ტრანსფობიურ ნიადაგზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტები.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, პირებზე თავდასხმას მათი ლგბტ+ თემის წარმომადგენლად აღქმა განაპირობებდა. ერთ-ერთ საქმეში, ახალგაზრდა კაცი, მეგობართან ერთად მეტროთი გადაადგილებისას, ორი ახალგაზრდის მხრიდან, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი მხოლოდ თავისი განსხვავებული ჩაცმის სტილის გამო აღმოჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან ეცნობა, რომ განმცხადებელი დაზარალებულად ცნეს დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით - ჩაცმულობის სტილის გამო შეუწყნარებლობის მოტივით ძალადობის ფაქტზე. თუმცა, კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ დრომდე არ დაწყებულა.

ამ საანგარიშო წელს შედარებით იკლო იეჰოვას მოწმეთა მიმართ რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რიცხვმა. ეს, სავარაუდოდ, იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ იეჰოვას მოწმეებს შეჩერებული აქვთ მსახურება როგორც საზოგადოებრივ ადგილებში, ისე კარდაკარ. გასული საანგარიშო წლების გამოცდილებით, იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების დიდი ნაწილი სწორედ ქუჩაში სტენდთან მდგომ ანდა კარდაკარ მოსიარულე იეჰოვას მოწმეებს შეეხებოდა. თუმცა, მიმდინარე წელს, კვლავ გამოიკვეთა იეჰოვას მოწმეთა საკუთრების დაზიანების ცალკეული ფაქტები.

ერთ-ერთი განცხადების მიხედვით, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, იეჰოვას მოწმეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - რელიგიური შეკრებებისთვის

განკუთვნილი დარბაზი დააზიანეს. 2021 წლის 25 მარტს ე.წ. „კომენდანტის საათის" მოქმედების პერიოდში, უცნობმა პირმა მოხსნა ფანჯრის გისოსი, ჩაამსხვრია ფანჯარა და შენობაში შეაგდო ასაფეთქებელი ნივთიერება.[191] 2021 წლის 30 აპრილს, სავარუდოდ, იმავე პირმა, კვლავ სცადა შენობაში შეღწევა, თუმცა, მეზობლის ხმის გაგონებისას ტერიტორია დატოვა. ამავე განცხადებაში, საუბარია 2019 წლის 27 ივნისს, მცხეთაში მდებარე იეჰოვას მოწმეთა რელიგიური შეკრებებისთვის განკუთვნილ დარბაზზე ცეცხლის წაკიდების მცდელობის ფაქტს. კამერის ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დანაშაულის ჩამდენი პირის სავარაუდო ვინაობის გამოკვეთის მიუხედავად, შემთხვევიდან 2 წლის შემდეგაც კი, პროკურატურას მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწყია.

პროკურატურის ცნობით[192], სოფელ მუხრანში მდებარე იეჰოვას მოწმეთა დარბაზის დაზიანების ფაქტზე თავდაპირველად გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით). მოგვიანებით, პროკურორის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და განმცხადებელი დაზარალებულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (დევნა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). პროკურატურის ცნობით, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ამ ეტაპზე, არ დაწყებულა.

აღსანიშნავია, რომ იეჰოვას მოწმეთა საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანებისა და მოპარვის მცდელობის ცალკეულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მარნეულში, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელსა და გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. 2021 წლის 5 აგვისტოს, ახალციხეში, მიქუტიშვილის ქ. №1-ში მდებარე იეჰოვას მოწმეთა დარბაზის ღობეზე უცნობმა პირმა/პირებმა საღებავით გააკეთეს შეურაცხმყოფელი წარწერები და გამოსახულებები. დასახელებულ შემთხვევებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სხვისი ქონების დაზიანების ან განადგურების ფაქტზე, თუმცა, ბრალდებული პირი/პირები არცერთ საქმეზე ამ დრომდე არ გამოვლენილან და არც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულა. იეჰოვას მოწმეთა ქონებაზე თავდასხმის ფაქტები განსაკუთრებით გახშირებული იყო წინა წლებშიც. რამდენიმე განცხადებაში განმცხადებლები საუბრობდნენ იეჰოვას მოწმეების სამუშაო სივრცისა და ავტომობილის დაზიანების სხვადასხვა ფაქტზე. მათ შორის, ერთ-ერთ განცხადებაში საუბარი იყო ერთსა და იმავე დღეს იეჰოვას მოწმეთა კუთვნილი უძრავი ქონების დაზიანების ფაქტზე ხონისა და ხაშურის მუნიციპალიტეტში, ასევე, იეჰოვას მოწმეთა ადმინისტრაციული შენობისა და კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების ხუთ სხვადასხვა ფაქტზე.

აღსანიშნავია, რომ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესწავლისა და ეფექტიანი რეაგირების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი სამა-

[191] ქონების დაზიანებით გამოწვეულმა ზარალმა დაახლოებით 2000 ლარი შეადგინა.
[192] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 27 მაისის კორესპონდენცია №13/30730.

რთალდამცავ ორგანოებს - საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრებათ. მართალია, შესამჩნევია სიძულვილის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესებული ტენდენცია, თუმცა, ამ უწყებების მხრიდან პრევენციული თუ რეაქტიული ღონისძიებების არასათანადო გატარებამ ან უმოქმედობამ, მათ შორის, იმან, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება, შესაძლოა, მდგომარეობა არაერთი მიმართულებით გააუარესოს. კერძოდ, როდესაც ბრალდებული პირის გამოვლენა ვერ ხერხდება და სისხლისსამართლებრივი დევნა დროულად არ იწყება, შეუძლებელია, ერთი მხრივ, ინდივიდუალური უფლების აღდგენა, მეორე მხრივ კი, ამით გზა ეხსნება სამომავლო უფლებადარღვევის მცდელობებს, რასაც ნათლად ადასტურებს იეჰოვას მოწმეთა საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანების არაერთგზისი მაგალითი. ამასთანავე, ცალკეულ პრობლემად უნდა გამოიყოს საქმის დროში გაჭიანურებული შესწავლის პროცესი. საქმეთა არადროული შესწავლის პირობებში, სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლს ეუფლება უსამართლობისა და დაუცველობის განცდა, რაც, შედეგობრივად, მნიშვნელოვნად ამცირებს სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გამოიკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის დროულად მიღების პრობლემაც. ცალკეულ შემთხვევებში, უწყება შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური შუალედური პასუხით და საბოლოო პასუხის მისაღებად სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს განმეორებითი შეხსენების წერილის გაგზავნა ან/და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან სატელეფონო კომუნიკაცია უწევთ. ეს აფერხებს საქმის ოპერატიულად შესწავლის პროცესს და აჩენს ეჭვებს, რომ უწყება ცდილობს, თავი აარიდოს ინფორმაციის გაცემას.

# 11. თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა

თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით, სახალხო დამცველის საქმიანობა, წელს, საქმისწარმოების თუ საგანმამათლებლო საქმიანობის მიღმა, არაერთ აქტივობას მოიცავდა.

თანასწორობის საკითხებზე სახალხო დამცველმა ორი სპეციალური ანგარიში გამოსცა. ანგარიშში - თვითმმართველი ორგანოების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან[193] - გაანალიზდა ყველა მუნიციპალიტეტის პროგრამა, რომელიც მიზნად ადამიანების სოციალურ მხარდაჭერას ისახავს და გამოიყო რეგულაციები, რომლებიც, პრაქტიკაში, სხვადასხვა ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას განაპირობებდა. მეორე ანგარიში - სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ[194] - შეეხება 2018-2020 წლების განმავლობაში სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის საკითხს, მიმოიხილავს საგამოძიებო ორგანოების წინა წლების და მიმდინარე მუშაობის ხარვეზებს და გაუმჯობესებულ ტენდენციებს, სტატისტიკურ მონაცემებს და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ამ მხრივ განვითარებულ სტანდარტებს.

პრაქტიკის გასაზიარებლად და დამატებით ინფორმაციის მისაღებად, 2021 წელს, სახალხო დამცველმა, თანასწორობის საკითხებზე, თემატური შეხვედრების ციკლი წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და აქტივისტებთან 5 შეხვედრა გაიმართა შემდეგ თემებზე: თანასწორობა სოციალური უფლებებით სარგებლობისას; არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები; არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წინაშე არსებული პრობლემები; უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა; ლგბტ+ თემის წევრთა წვდომა დასაქმებაზე, მომსახურებასა და საცხოვრისზე.

2021 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო თანასწორობის ორგანოების ევროპულ ქსელში (Equinet) სახალხო დამცველის აპარატის აქტიურობის მხრივ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ქსელის წევრებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სხვადასხვა საკითხებზე, მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუციური რასიზმის პრევენციის და თანასწორობის მეინსტრიმინის შესახებ კონფერენციებში, დაესწრნენ ქსელის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარს და ტრენინგს. ამასთანავე, თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი თანასწორობის მეინსტრიმინგის კლასტერის (სამუშაო ჯგუფი) მოდერატორი გახდა.

[193] სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში „თვითმმართველი ორგანოების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან", ხემისაწვდომია: https://rb.gy/lpf4r8
[194] სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ", ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ahhzlh

## 11.1. საქმისწარმოება

წინა საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 113 ახალი ფაქტი განიხილა, 2021 წლის განმავლობაში კი, მომართვის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე 161 ახალი შემთხვევა შეისწავლა. ამათგან, 66% შემთხვევაში განმცხადებლები საჯარო უწყებების მხრიდან ჩადენილ დისკრიმინაციაზე, 34%-ში კი - ფიზიკური პირის თუ კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან მომდინარე უთანასწორო მოპყრობაზე მიუთითებდნენ. საგულისხმოა, რომ ანალოგიური პროცენტული მაჩვენებელი იყო გასულ წელს.

**ჩარტი N1**




2021 წელს სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე 15 რეკომენდაცია და 10 ზოგადი წინადადება გამოსცა და 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მოამზადა.

რაც შეეხება დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, აღსანიშნავია, რომ წელს ყველაზე მეტ - 17% შემთხვევაში, განმცხადებლები პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკირმინაციაზე მიუთითებდნენ. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია მომდინარეობს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდიდან. ამ მხრივ, სწორედ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გააქტიურდა სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა. გასულ წელს პოლიტიკურ შეხედულებას, როგორც დაცულ ნიშანს, განმცხადებელთა მხოლოდ 9% მიუთითებდა.

სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების ფაქტები წელსაც აქტუალური იყო და განცხადებების 16%-ს შეადგენდა, ეს ნიშნული 2020 წელს 18% იყო. განსხვავებული მოსაზრება და შეზღუდული შესაძლებლობა საქმეების 11-11%-ში გვხვდებოდა, შარშან ეს მონაცემი 12% და 9% იყო, შესაბამისად. სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ნიშნით განმცხადებელთა

7% დავობდა, გასულ წელს კი ეს მონაცემი 6% იყო. ეროვნება/მოქალაქეობის გამო - 6%, რელიგიის გამო - 4%, ეთნიკური წარმომავლობის გამო უთანასწორობის შემთხვევებს კი საქმეების 3% შეეხებოდა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი ეროვნება/მოქალაქეობის შემთხვევაში - 8%, რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით კი - 6-6% იყო. ასაკის გამო უთანასწორობასთან დაკავშირებული განცხადებების წილი წელს 7%-დან 3%-მდე შემცირდა. 2021 წელს წარმოებაში მითითებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი - 22% კვლავ სხვა ნიშნებით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა. გასულ წელს ეს მონაცემი 21% იყო.

**ჩარტი N2**




აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, სახალხო დამცველთან დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის წარმოებისას, განმცხადებლების 22%-ს ჰყავდა წარმომადგენელი, რომელთაგან 7% შემთხვევაში განმცხადებლებს „კოალიცია თანასწორობისთვის" წევრი ორგანიზაციები[195] წარმოადგენდნენ.

[195] „კოალიცია თანასწორობის" წევრები არიან: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი", „საფარი", „უფლებები საქართველო", „იდენტობა", „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი", „თანასწორობის მოძრაობა", „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი".

**ჩარტი N3**

## 11.2. საგანმანათლებლო საქმიანობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი[196] სახალხო დამცველისთვის მინიჭებული მანდატის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტად დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას მოიაზრებს. აღნიშნული მანდატის ფარგლებში, მიმდინარე საანგარიშო წელს, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, არაერთი საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო აქტივობა ჩაატარეს.

2021 წლის იანვრიდან - დეკემბრამდე პერიოდში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს მასშტაბით, ჯამში 100-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი ჩაატარეს. საგანმანათლებლო შეხვედრებისას განსაკუთრებული აქცენტი, სხვა საკითხებთან ერთად, დისკრიმინაციის წახალისებასა და კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციის შემთხვევებზე კეთდებოდა. ძირითად სამიზნე აუდიტორიას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, ლგბტ+ თემის წევრები, სტუდენტები, მასწავლებლები, კერძო ორგანიზაციების თანამშრომლები, აქტივისტები, მოსწავლეები და ჟურნალისტები შეადგენდნენ.

საერთო ჯამში, 2021 წლის განმავლობაში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა საჯარო

[196] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „თ".

უწყებების 691 წარმომადგენელს, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების - 282 წარმომადგენელს, 114 მასწავლებელს, 350 ახალგაზრდასა და კერძო კომპანიების 212 თანამშრომელს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 1560. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო შეხვედრა შედგა აზერბაიჯანის სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთანაც (20 მონაწილე), რომლის ფარგლებშიც, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს სახალხო დამცველის მანდატი და გაუზიარეს პრაქტიკული გამოცდილება.

მიმდინარე საანგარიში პერიოდში, საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად სტუმრობდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს. შეხვედრები გაიმართა 6 რეგიონის (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) 28 მუნიციპალიტეტსა და 16 სოფელში. ვიზიტების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გარდა შეხვედრები გაიმართა მუსლიმ და კათოლიკე თემთან, იეჰოვას მოწმეებთან, ეკომიგრანტებთან, მესხებთან, ბოშებთან, სხვადასხვა ქვეყნის სათვისტომოს წარმომადგენლებთან და ლგბტ+ თემთან.

2021 წლის 15-24 ნოემბერს, საქართველოში, ევროსაბჭოს ინიციატივით, თანასწორობის კვირეული გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას თანასწორობის მნიშვნელობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატი უკვე მესამედ ჩაერთო თანასწორობის კვირეულში, რომლის ფარგლებშიც, თანასწორობის დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს თანამშრომლებმა 8 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისისა და საქართველოს 5 რეგიონის (კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის) სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.

# 12. დასკვნა

სამწუხაროდ, ბოლო წლების შეჯამებისას, თანასწორობის მდგომარეობის მხრივ გაუმჯობესებაზე საუბარი სულ უფრო რთულდება. ბოლო პერიოდში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის დახვეწის მიუხედავად, პრაქტიკული თანასწორობის მხრივ ვითარება მძიმეა.

სახელმწიფოს არ აქვს თანასწორობის პოლიტიკა და თანასწორობის მიღწევის პროცესში შესაბამისი უწყებები თავიანთ კომპეტენციას ვერ იაზრებენ, რაც, უფლების სათანადოდ დაცვას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის. წლებია, სახალხო დამცველი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებების გავრცელებისკენ მოუწოდებს, თუმცა, თანამდებობის პირები არათუ ამ რეკომენდაციას არ იზიარებენ, არამედ, თავიანთი განცხადებებით, დაუცველი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციას ახალისებენ.

ხელისუფლების მიერ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით ნეგატიური თუ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობამ, შესაძლოა, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოს და სახალხო დამცველის ძალისხმევით აქამდე მიღწეულ შედეგებსაც დაუკარგოს აზრი.

სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ 2022 წელს, დაუცველი ჯგუფები, თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას რეალურად იგრძნობენ.

## რეკომენდაციები

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- უზრუნველყოს 5-6 ივლისს მომხდარი ყველა სავარაუდო დანაშაულის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- 2022 წლის განმავლობაში, სისტემურად გააანალიზოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების საჭიროებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის კუთხით და საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა.

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს:**

- 2022 წლის განმავლობაში, შეიმუშაოს მესხების თემის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით სახელმწიფო ენის

გამოცდაზე ორიენტირებული, ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზების გეგმა და კოორდინაცია გაუწიოს მისი განხორციელების დაწყებას

- 2022 წლის განმავლობაში, შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინიციატივა საქართველოში დაბრუნებული მესხებისათვის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების განახლებული მექანიზმების თაობაზე.

**საქართველოს მთავრობას:**

- ახალი კორონავირუსის მართვის მიზნით დადგენილი ნებისმიერი შეზღუდვა შემუშავდეს არადისკრიმინაციული მიდგომით, მათ შორის, საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს ბინადრობის ნებართვიდან/სტატუსიდან გამომდინარე შეეძლოთ ქვეყნაში შემოსვლა
- საკანონმდებლო ინიციატივის გზით შეიმუშაოს ორსულობისა და მშობიარობის გამო, ასევე ბავშვის მოვლის გამო შვებულებების ანაზღაურების ერთიანი სტანდარტი იმგვარად, რომ არ გააუარესოს რომელიმე სამიზნე ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი სრულად ჩანაცვლდეს სოციალური მოდელით. ამ ცვლილებამდე კი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და მხედველობაში მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები
- შეცვალოს სოციალური პაკეტების გაცემის ზოგადი წესი, რომლის თანახმად, მცირე გამონაკლისების გარდა, იკრძალება სახელმწიფოსგან ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება.

**სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს:**

- 2022 წლის განმავლობაში, სიღრმისეულად შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი და მსჯავრდებულების რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე პატიმართათვის სალოცავი სივრცეების გამოყოფა
- საზოგადოების ინფორმირება ამანათების მიღების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, საჯარო განცხადების სახით, განახორციელოს რელიგიური უმცირესობების ძირითადი დღესასწაულების დროსაც.

**სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს:**

- სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის განხილვისას უზრუნველყოს საქმის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლა.

**გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს და საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს:**

- სქესის და სხვა ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევების შესწავლისას, უზრუნველყოს გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს მგრძნობელობით, მიუკერძოებლად, დისკრიმინაციის აკრძალვის მარეგულირებელი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სტანდარტების უპირატესი დაცვით.

**სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტებს:**

- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებგვერდებსა და სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის თარგმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზე
- შემჭიდროვებულ ვადებში, უზრუნველყონ მათ მიერ მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნორმატიული აქტების (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების) თარგმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზე.